

საქართველოს უზენაესი სასამართლო

წიგნი არ არის განკუთვნილი რეალიზაციისათვის

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2010

ISBN

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია

თბილისი
2010

გაეროს განვითარების
პროგრამა საქართველოში

საქართველოს უზენაესი
სასამართლო



ნაწიცი მსაჯულთა სასამართლო
წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია

JURY TRIAL
BRIEF HISTROY OF ITS ORIGIN AND DEVELOPMENT (IN GEORGIAN)

გამოცემა იბეჭდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მის ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაერთიანებული ერების ან გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

Published by United Nations Development Programme Georgia (UNDP). The views expressed in this publication are those of the authors and don't necessarily represent those of the United Nations or UNDP

წიგნი მოამზადა და დაამუშავა

თინათინ ბეჟაშვილმა
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ადამიანის უფლებათა ცენტრი

სამეცნიერო რედაქტორი

ზაზა მემიშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

სტილისტი

თინათინ ქოქრაშვილი

შინაარსი

შესავალი.....	8
ისტორიული მიმოხილვა	10
საბერძნეთი.....	10
რომი.....	15
საქართველო.....	16
ინგლისი.....	18

ნაზიც მსაჯულთა სასამართლო თანამედროვე ეპოქაში

(გალკმული ქვეყნების მაგალითები)

დიდი ბრიტანეთი.....	22
ამერიკის შეერთებული შტატები.....	28
ავსტრალია.....	40
კანადა.....	43
ირლანდია.....	45
ახალი ზელანდია.....	47
საფრანგეთი.....	49
იტალია.....	51
ესპანეთი.....	53
გერმანია.....	57
ნორვეგია.....	58
საბერძნეთი.....	62
ავსტრია.....	62
შვეიცარია.....	62
ბელგია.....	63
ინდოეთი.....	67
იაპონია.....	69
ბრაზილია.....	72
რუსეთი.....	73
საქართველო.....	78

მედიის როლი.....	97
მსაჯულები სასამართლოს გარეშე.....	101

„ . . . ჰ ე მ ე ნ ი თ მ ა რ თ ა ლ ი
 ს ა მ ა რ თ ა ლ ი,
დ ა ბ რ ძ ა ნ დ ი თ ბ ჭ ო ბ ა დ . . . ”
 მ ს ძ ი ლ ე

წინათქმა

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს უძველესი ინსტიტუტი 2010 წლის 1 ოქტომბრიდან საქართველოშიც ამოქმედდება, რასაც ჩვენი საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ მრავალი ნაშრომია გამოქვეყნებული, რომელთა დიდი ნაწილი ძირითადად მეცნიერული კვლევის ხასიათს ატარებს. წინამდებარე წიგნი ამ მხრივ გამონაკლისია. უზენაესი სასამართლოს მხრიდან ეს არის პირველი მცდელობა, რაც მიზნად ისახავს დაინტერესებულ მკითხველს გააცნოს ამ უაღრესად საინტერესო და ურთულესი ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ისტორია ცალკეული ქვეყნის მიხედვით.

ნაშრომი მიმოხილვითი ხასიათისაა და საწყის ეტაპზე მკითხველს აწვდის გარკვეულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ზოგადად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორია მისი წარმოშობის ისტორია, რა განვითარება ჰპოვა ამ ინსტიტუტმა შემდგომში, ვინ იყვნენ ნაფიცი მსაჯულები და რა როლი ეკისრებოდათ მათ საზოგადოებაში, არსებობდა თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში და ამჟამად რა ფორმით უნდა ამოქმედდეს იგი. ამას გარდა, მკითხველს ასევე დააინტერესებს მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი ზოგიერთ გახმაურებულ საქმეზე, რასაც შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობასა, თუ საზოგადოებრივი შეხედულებების ჩამოყალიბებაში.

ნაფიც მსაჯულთა სისტემის წარმატება თუ წარუმატებლობა დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ შეეწყობა ის ჩვენი ქვეყნის მართლმსაჯულების ღირებულებებს, რომლებიც გულისხმობს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასა და პატივისცემას. ვფიქრობთ, რომ საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა ამ პროცესებისადმი სასურველ შედეგს გამოიღებს, რაც ჩვენი ქვეყნის წარმატების გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

შესავალი

„მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ზორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსაზოორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზე დაყენებული.“

ილია ჭავჭავაძე

ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეეძლო ჭეშმარიტად სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება ქვეყანაში. იგი მომრიგებელი მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტებს პირდაპირ უკავშირებდა სამართლიანი მართლმსაჯულების იდეების დამკვიდრებას საზოგადოებაში.

საერთო სამართლის ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უამრავი მხარდამჭერი ჰყავს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯულთა სასამართლოს იმ ქვეყნებში, სადაც ეს ინსტიტუტი უკვე დიდი ხანია მოქმედებს, ჰყავს მოწინააღმდეგენიც. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეების უპირველესი არგუმენტია ის, რომ სახელმწიფო ძალაუფლებისაგან ინდივიდის დაცვის ყველაზე მყარ გარანტიას ქმნის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. ნაფიც მსაჯულებს გარკვეული კორექტივები შეაქვთ მოუქნელი და მკაცრი კანონების აღსრულებაში. ასეთი ტიპის სასამართლო იძლევა პროცესის მაქსიმალურ შეჯიბრებითობასა და მხარეთა თანასწორობას. მსაჯულების მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების სამართლებრივი აზროვნების დონის ამაღლებაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრეები თამამად მიუთითებენ იმ უპირატესობებზე, რაც ამ ინსტიტუტს გააჩნია, კერძოდ, ისინი აღნიშნავენ, რომ ეს ინსტიტუტი უფრო დემოკრატიულია. მას შემოაქვს სადი აზრი სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემაში და ასევე, უფრო

ნაკლებად ექცევიან ბრალდების მხარის ზეგავლენის ქვეშ. ამას გარდა, ვერდიქტის გამოტანისას მოქმედებენ პრინციპით, რომელიც გულისხმობს ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტას. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწინააღმდეგეებს, ისინი არგუმენტად იშველიებენ მსაჯულთა არაპროფესიონალიზმს. მათი აზრით, ნაფიც მსაჯულთა პროცესი ნელი და მოუქნელია, ასევე იგი საკმაოდ ძვირი უჯდება სახელმწიფოს.



ისტორიული მიმოხილვა

საბერძნეთი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უძველეს წინაპრად მიიჩნევენ ძველ ათენში არსებულ დიკასტერიას, იგივე ჰეილეიას. დიკასტერია ერქვა მთავარ სასამართლო ადგილს, რომელიც მდებარეობდა ქალაქის მოედანზე. სახალხო მოსამართლეებს დიკასტებსა და ჰელეასტებს უწოდებდნენ. ათენის დიკასტერია გამოირჩეოდა მოსამართლეთა სიმრავლით, სხდომათა საჯაროობითა და უაპელაციო გადაწყვეტილებებით.


არისტოტელეს ცნობით დიკასტერია შედგებოდა ხალხის მიერ არჩეული 1500 მოსამართლისაგან, რომელთაგან 501 კაცი იხილავდა ჩვეულებრივ, სამოქალაქო და ყოფით საქმეებს. განსაკუთრებით სერიოზულ საქმეებს, რასაც შედეგად, შესაძლოა, მოჰყოლოდა სიკვდილით დასჯა, თავისუფლების დაკარგვა, განდევნა, სამოქალაქო უფლებების დაკარგვა, საკუთრების ჩამორთმევა - იხილავდა ათასიდან ათას ხუთასამდე დიკასტი. გადაწყვეტილება მიიღებოდა ფარული კენჭისყრით. საკითხი წყდებოდა ხმათა უბრალო უმრავლესობით, ხოლო თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, განსასჯელი გამართლებულად ითვლებოდა. მსაჯულებს ეძლეოდათ თავიანთი ვინაობის დამადასტურებელი მოწმობებიც.



მსაჯულის ვინაობის დამადასტურებელი ბრინჯაოს ფირფიტა, რომელზეც მითითებულია: მფლობელის ვინაობა – დემოფანესი, მამის სახელი – ფილიპე, ოლქი – კეფესია, თარიღდება ჩ.წ-მდე მე-4 საუკუნით; ინახება ათენის მუზეუმში.

დიკასტერია წარმოადგენდა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოს და შედგებოდა 5000 ძირითადი და 1000 სათადარიგო მოსამართლისაგან, რომელთაც ირჩევდნენ 30 წელს მიღწეული მოქალაქენი, ერთი წლის ვადით. არჩევა მიმდინარეობდა კენჭისყრით. თითოეული ტერიტორიული ერთეულიდან, ანუ ფილიდან (იმ ხანად ათენი იყოფოდა 10 ფილად) ირჩევდნენ 600 წარმომადგენელს. პერიკლეს მმართველობის შემდეგ მოსამართლეებს ასევე ეძლეოდათ დღიური ანაზღაურებაც.

მსაჯულთა ინსტიტუტის საქმიანობა რიტუალურად არის ასახული ესქილეს ტრაგედიაში - „ორესტეა“. ორესტესი იყო აგამემნონისა¹ და კლიტემნესტრას² შვილი, რომელმაც მამის მკვლელობის გამო დედაზე შური იძია და იგი სიცოცხლეს გამოასალმა.



ესქილე - ძველი ბერძენი დრამატურგი

ამ პიესის მიხედვით, ქალღმერთმა ათენამ ორესტესის სამსჯავროზე მსაჯულად მოიხმო ათენის 12 მოქალაქე. ღმერთი აპოლონი, როგორც ბრალდებულ ორესტესის ადვოკატი, მონაწილეობდა სასამართლოში, ხოლო ერინიები იყვნენ ბრალმძებლები კლიტემნესტრას მკვლელობაში. მსაჯულთა ხმები თანაბრად გაიყო - ექვსი ექვსის წინააღმდეგ და ათენამ გადაწყვიტა, რომ ამიერიდან ასეთ შემთხვევებში ვერდიქტი გამამართლებელი უნდა ყოფილიყო.

მას შემდეგ სასამართლოებს ატარებდნენ არეოპაგები, საბჭო, რომელიც შედგებოდა არისტოკრატი უხუცესებისაგან. ისინი სიცოცხლის ბოლომდე ინიშნებოდნენ ამ

1. აგამემნონი – მიკენის მეფე, ტროას ომის ერთ-ერთი გმირი.

2. კლიტემნესტრა – აგამემნონის ცოლი. აგამემნონმა ტროაზე ლაშქრობისას თავისი ქალიშვილი იფიგენია მოტყუებით ჩაიყვანა თავისთან, თითქოს, აქედევსზე დაქორწინების გამო უხმობდა და იგი, ომში გამარჯვების მიზნით, მსხვერპლად შესწირა ტაძარში ქალღმერთ არტემიდეს. მრავალი წლის შემდეგ ტროას ომიდან დაბრუნებული ქმარი კლიტემნესტრამ საკუთარი ხელით მოკლა.



კლიტემნესტრა
(მხატვარი ჯონ კოლიერი,
1882 წელი)

იწყებდნენ ფარულად ხმის მიცემას. პროცედურა ასეთი იყო: მსაჯულები ყრიდნენ კერამიკულ პატარა ფილებს, რომელთაგან ნაწილი მთლიანი იყო, ნაწილი - გახვრეტილი. მთელი ფილა ნიშნავდა გამამართლებელ ვერდიქტს, ხოლო გახვრეტილი – დამნაშავედ ცნობას. იმ შემთხვევაში, თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, ბრალდებული გამართლებულად ითვლებოდა.



ქალღმერთი ათენა

მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი მსაჯულთა სასამართლო იმ ეპოქაში დემოკრატიულ ინსტიტუტს წარმოადგენდა, იგი მაინც არ იყო დაზღვეული ცალკეული შეცდომისაგან. ცნობილია, რომ სწორედ მსაჯულთა სასამართლომ ცნო დამნაშავედ კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე სოკრატე³ და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

3. სოკრატეს სასამართლო აღწერილი აქვთ პლატონსა და ქსენოფონტეს, რომლებიც იყვნენ მისი მოწაფეები და მიმდევრები.



სოკრატე -
ბერძენი ფილოსოფოსი

ბრალდებელმა მელეტუსმა არქონტის წინაშე სახალხოდ დასდო ბრალი სოკრატეს ათენის ახალგაზრდა თაობის კორუფციაში ჩართვასა და ღვთაებათა უპატივცემულოდ მოხსენიებაში.

ათენის მსაჯულთა საბჭოს წევრებად შეირჩნენ მოხალისენი მამაკაცთა ჯგუფიდან, რომლებიც ათენის მოქალაქეები იყვნენ. არც პლატონსა და არც ქსენოფონტეს ნახსენები არა აქვთ მსაჯულთა რაოდენობა, რომლებმაც სოკრატეს სასიკვდილო ვერდიქტი გამოუტანეს, თუმცა პლატონის „აპოლოგეტიკაში“ ნახსენებია, რომ თუ 30 მსაჯული არ დაეთანხმებოდა მელეტუსის ბრალდებას, მაშინ ის გამართლდებოდა, ხოლო თუ 3/5-ზე ნაკლები არ დაუჭერდა მხარს, მაშინ მის წინააღმდეგ გამამტყუნებელ ვერდიქტს გამოიტანდნენ.

მას შემდეგ, რაც სოკრატეს წინააღმდეგ გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანეს, პროკურორმა შესთავაზა ალტერნატიული განაჩენი. სოკრატემ გაკვირვება გამოთქვა იმ მცირე ბრალდებაზე, რაც მას წაუყენეს და არქონტს შესთავაზა, რომ იგი გადაიხდიდა 100 დრაჰმას, რაც მისი ქონების მეხუთედს შეადგენდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ სოკრატე გადაიხდიდა 3000 დრაჰმას, რაშიც მას თავდებად დაუდგნენ პლატონი,⁴ კრიტოსი⁵ და კრიტობულუსი,⁶ რომლებიც უზრუნველყოფდნენ თანხის გადახდას. პროკურორმა მოითხოვა სოკრატეს სიკვდილით დასჯა. მსაჯულებმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს სოკრატეს სიკვდილით დასჯას.

სოკრატეს თანამოაზრეებმა გაქცევა შესთავაზეს. ათენის მოქალაქეები მოელოდნენ, რომ იგი დათანხმდებოდა ამ წინადადებას, მაგრამ სოკრა-

4. პლატონი – ბერძენი ფილოსოფოსი; მოღვაწეობდა ჩ.წ-მდე 428-347 წლებში.

5. კრიტოსი – ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მეგობარი და მიმდევარი, პლატონი იხსენიებს მას თავის ნაწარმოებში „დიალოგები სოკრატესთან.“

6. კრიტობულუსი – კრიტოსის შვილი, სოკრატეს მოწაფე და მიმდევარი.

ტემ პრინციპულად უარყო ეს შეთავაზება. მან მიიღო განაჩენი და შესვა მისთვის განკუთვნილი შხამით სავსე ფიალა. როგორც ჩანს, ეს განაპირობა კანონისადმი მორჩილების მისმა ფილოსოფიურმა მიდგომამ. სოკრატე 70 წლისა გარდაიცვალა. მრავალი მეკვლევარი სოკრატეს ბრალდებასა და განაჩენს განიხილავს, როგორც ცნობილი ფილოსოფოსის არჩევანს, რომელიც მან საკუთარი ნებით მიიღო. იმ შემთხვევაში, თუ პლატონისა და ქსენოფონტეს⁷ მიერ მოვლენათა აღწერას მივიჩნევთ ზედმიწევნით დეტალურად, იკვეთება ისეთი სურათი, რომ სოკრატე ცდილობდა არა მსაჯულების დარწმუნებას თავის უდანაშაულობაში, არამედ ის მოძღვრავდა მათ და გარკვეულწილად მათ პროვოცირებასაც ახდენდა.



სოკრატეს სიკვდილით დასჯა
(მხატვარი ჟაკ-ლუი დავიდი, 1787 წელი)

სოკრატეს გასამართლებასა და დასჯას განიხილავენ, როგორც თავისუფალი სიტყვისათვის პირველად წამებული ამბავს. ცნობილმა ჟურნალისტმა ისიდორ სტოუნმა⁸ აღნიშნა, რომ, ისევე როგორც იესო ქრისტესთვის საჭირო იყო ჯვარი, რათა აღესრულებინა თავისი მისია, ასევე სოკრატეს უნდა შეესვა მისთვის განკუთვნილი შხამი, რათა მასაც აღესრულებინა თავისი მისია.

7. ქსენოფონტე – ბერძენი ისტორიკოსი, სოკრატეს დიდი თაყვანისმცემელი, მოღვაწეობდა ჩ.წ.-მდე მე-4 საუკუნეში.

8. ისიდორ სტოუნი – მე-20 საუკუნის ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი, რომელიც მოღვაწეობდა ჟურნალისტური გამოძიების განხორციელებაში.

რომი

რომის რესპუბლიკის შექმნიდან იმპერიის არსებობის დასრულებამდე რომში არსებობდა ტრიბუნალები მსაჯულების მონაწილეობით. მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა მიმდინარეობდა მსაჯულთა საბჭოს წინაშე, რომელიც შედგებოდა 100 ან 1000 ადამიანისაგან. ისინი მონაწილეობდნენ ხმის მიცემაში პრის ბრალეულობის განსაზღვრის მიზნით.



რომის სენატი

საქართველო

მე-11 საუკუნემდე ქართულ სამართალში „მოსამართლის“ ცნებას აღნიშნავდნენ ტერმინებით - „მსაჯული“, „ბჭე“. ტერმინი „მოსამართლე“, ქართველ მეცნიერთა მოსაზრებით, აღნიშნავდა როგორც სასამართლო ფუნქციების მქონე სახელისუფლებო მოხელეს, რომელსაც სპეციალურად დავალებული ჰქონდა სადავო საქმეების განხილვა, ისე – სხვა პირსაც, რომელიც, როგორც მოდავე მხარის მიერ არჩეული პირი, მხოლოდ ამ კონკრეტული საქმის განხილვის დროს ასრულებდა მოსამართლის ფუნქციას სხვა პირებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ ხევესურეთის ჩვეულებითი სამართლისათვის დამახასიათებელი იყო სამართალწარმოების ისეთი სახე, როგორიც იყო „რჯული“, ანუ 4-დან 12-მდე კაცისაგან – რჩეული პირებისაგან (ძირითადად უხუცესები, მაგრამ პირადი ღირსების გამო შესაძლებელი იყო ახალგაზრდებიც შეეყვანათ) – შემდგარი სასამართლო. საგულისხმოა, რომ ამ სასამართლოს წევრებს მსაჯულებს უწოდებდნენ. ისინი ძველი ადათ-ჩვევების მიხედვით იზილავდნენ მოსისხლეთა შერიგების, ქურდობის, განქორწინებისა და სხვა მსგავს საქმეებს.

რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში ეს ტრადიცია შეიცვალა მომრიგებელი მოსამართლის რუსული მოდელის დანერგვით. მეფის რუსეთის მმართველებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს მოსახლეობა თავისი სამართლებრივი განვითარების დონით არ იყო მზად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის.

ილია ჭავჭავაძეს, რომელიც გარკვეული დროით მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა დუშეთის მაზრაში, იმედი ჰქონდა, რომ ნაფიცი მსაჯულების სასამართლო საქართველოშიც ამოქმედდებოდა, მაგრამ მეფის რუსეთის მმართველობის პერიოდში საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების იმედს ასრულება არ ეწერა.



ილია ჭავჭავაძე

მოგვიანებით, 1919 წლის 17 იანვარს, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების“ შესახებ. ამ კანონის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები 12 კაცის შემადგენლობით ტრადიციისამებრ, მოსამართლისგან დამოუკიდებლად, წყვეტდნენ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა-არცნობის საკითხს. ნაფიც მსაჯულად აირჩეოდა 25 წელს მიღწეული პირი, რომელიც იყო საქართველოს მოქალაქე, ფლობდა სახელმწიფო ენას და არანაკლებ ერთი წელი ცხოვრობდა საქართველოში. ნაფიც

მსაჯულად ყოფნა არ შეეძლო იმას, ვინც ადრე ნასამართლევი იყო, სასამართლოს განაჩენით დათხოვნილი იყო სამსახურიდან, ასევე გადამხდელუუნარო, ანდა ფიზიკურად უუნარო ადამიანებს. ნაფიც მსაჯულთა სიაში, რომელიც თითოეულ მაზრაში ცალკეულად დგებოდა, არ შეიძლებოდა შეეყვანათ სამღვდელოების წარმომადგენელი, სასამართლოს თანამშრომელი, პროკურატურის მუშაკი, სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინიგზის უფროსები, სამხედრო და საზღვაო უწყების ცალკეული თანამშრომლები, საკარანტინო დაწესებულებათა მოხელენი, გუბერნიის, მაზრისა და სოფლის კომისარი და მისი თანაშემწე, მილიციის მოხელე.

საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში ნაფიცი მსაჯულები შეიცვალნენ სახალხო მსაჯულებით, რომლებიც ფორმალურად განასახიერებდნენ მსაჯულის ფუნქციას სასამართლოში.

ინგლისი

რომის იმპერიასა და ინგლისს შორის კავშირი იულიუს კეისრის პერიოდიდან იწყება, როდესაც იმპერატორმა ინგლისის სამხრეთი ნაწილი დაიპყრო. რომის იმპერიის დაცემის შემდეგ რეგიონში „ბარბაროსთა“ შემოსევები დაიწყო და რომაულმა წეს-ჩვეულებებმა და კანონებმა არსებობა შეწყვიტა.

მე-12 საუკუნეში ინგლისის მეფე ჰენრი II-მ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მსაჯულთა სასამართლოს ჩამოყალიბებისათვის. ინგლისში დამკვიდრდა წესი, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდნენ, ფიცის ქვეშ ეთქვათ სიმართლე (სიტყვა „ჟიური“ მომდინარეობს ლათინური სიტყვა „Jurare“-დან, რომელიც დაფიცებას გულისხმობს). თავდაპირველად მსაჯულები ადგილობრივ საქმეებზე მხოლოდ ინფორმაციას აწვდიდნენ, მაგრამ შემდეგ თანდათანობით ჩართეს ისინი სისხლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვაში.



Magna Charta (Magna Carta Libertatum), ანუ თავისუფლებათა დიდი ქარტია, რომელიც შეიქმნა 1215 წელს.

1215 წლის ივნისში ინგლისის სამეფოში მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემდგომ განვითარებაზე. ინგლისის მეფის - ჯონის მმართველობის დროს დაიწერა „თავისუფლებათა დიდი ქარტიის“ (Magna Charta) დოკუმენტი, რომელიც ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას. ამ დოკუმენტის ცალკეულ მუხლებში მოხსენიებული იყო ინგლისის სამართლის დამოუკიდებლობა და მიწათმფლობელთა უფლებები სამართლიან მართლმსაჯულებაზე. ქარტია ადგენდა, რომ ყოველი დიდგვაროვანი, თუ თავისუფალი ადამიანი უნდა განესაჯათ მის თანასწორობ, კანონიერად და თანაზომიერად. თუ პირველ ეტაპზე მსაჯულებს საქმის ცოდნის მიხედვით არჩევდნენ, შემდგომში თანდათანობით ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის მიხედვითაც, მსაჯული საქმეში გარეული არ უნდა ყოფილიყო. მე-18 საუკუნის ბოლოს მსაჯული, რომელიც საქმეზე პირად ინფორმაციას ფლობდა, გალდებული იყო, მის განხილვას ჩამოშორებოდა.

მე-17 საუკუნიდან „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ (Magna Charta) თანდათან დაეიწყებას მიეცა და უპირატესობა კვლავ კეთილშობილთა მმართველობამ მოიპოვა. მეფემ თავისი სამეფო მოსამართლეების დახმარებით დაიწყო პირადი კონტროლის გაზრდა მსაჯულებსა და სამეფოზე.

შუა საუკუნეებში მსაჯულებზე ხშირად ზორციელდებოდა სხვადასხვა ზეწოლა. მორჩილების მიზნით ისინი შეიძლება ჩაეკეტათ ოთახში, არ მიეცათ სითბო და საკვები, სანამ გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოიტანდნენ. ხელისუფლება არ ერიდებოდა „ურჩი“ მსაჯულების გაროზგვასა და დაჯარიმებასაც.

1670 წელს ლონდონში გამართულმა სასამართლო პროცესმა უდიდესი გარდატეხა მოახდინა მართლმსაჯულებაში. ეს საქმე ისტორიაში შევიდა „ბუშელის საქმის“ სახელით. ლონდონის სისხლის სამართლის სასამართლო ასამართლებდა უილიამ პენს⁹ და მის მეგობარს (უილიამ მედს)

9. უილიამ პენი – ინგლისელი ფილოსოფოსი (1644-1718 წლები); ქადაგებდა დემოკრატიულობისა და რელიგიური თავისუფლების იდეებს.

შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. როდესაც 12 ნაფიცმა მსაჯულმა უარი თქვა, დამნაშავეებად გამოეცხადებინა ბრალდებულები, ისინი ორი ღამით ჩაკეტეს საკვების, წყლისა და საპირფარეშოს გარეშე. მსაჯულებს ასევე მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა ჯარიმის გადახდამდე. ოთხმა მსაჯულმა ბუშელის მეთაურობით უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე და დაპატიმრება გაასაჩივრა. მთავარმა მოსამართლემ ამ საკითხზე მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება. მან დაადგინა, რომ არც ერთი ნაფიცი მსაჯული არ შეიძლებოდა დასჯილიყო თავისი ვერდიქტისათვის.

ბუშელის საქმეს უკავშირდება უილიამ პენისა და უილიამ მედის ბრალდების საქმე. ისინი უკანონო გაერთიანების წევრები იყვნენ. 1670 წლის აგვისტოში ისინი დააკავეს იმიტომ, რომ აპროტესტებდნენ მათთვის კონკრეტული რელიგიური საქმიანობის აკრძალვას. საქმის განმხილველმა მოსამართლემ მსაჯულებს გამოუცხადა, რომ ისინი არ გათავისუფლდებოდნენ მანამ, სანამ არ გამოიტანდნენ ისეთ ვერდიქტს, რომელიც მისაღები იქნებოდა სასამართლოსათვის. როდესაც მსაჯულებმა ბრალდებულები



გამართლეს, მოსამართლემ არ მიიღო ეს ვერდიქტი, მსაჯულები დააჯარიმა და ისინი სათათბირო ოთახში დააბრუნა. ედუარდ ბუშელმა, რომელიც ერთ-ერთი მსაჯული იყო ამ საქმეზე, უარი განაცხადა ჯარიმის გადახდაზე. მოსამართლე მას დაემუქრა, რომ ვერ მიიღებდა საკვებს, სასმელს, ცეცხლსა და თამბაქოს. მოსამართლემ მოსთხოვა, მიეღო სასამართლოსათვის სასურველი ვერდიქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის განწირული იქნებოდა შიმშილისათვის.

სერ ჯონ ვოგანი (Sir John Vaughan),
მთავარი მოსამართლე, რომელმაც
ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო
ბუშელის საქმეზე.

ასეთი რამ არ იყო უჩვეულო თითქმის მე-19 საუკუნემდე. მსაჯულებს კეტავდნენ სათათბირო ოთახში საჭმლისა თუ ცეცხლის, წყლისა თუ სინათლის გარეშე მანამ, სანამ ისინი არ მიიღებდნენ მოსამართლისათვის სასურველ ვერდიქტს. ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა დასუსტებული მსაჯულებისათვის დასაზმარებლად ექიმებსაც კი უზმობდნენ.

ბატონმა ბუშელმა, რომელიც მთავარი მსაჯული იყო, საქმე გაასაჩივრა უმაღლეს ინსტანციაში, სადაც მოსამართლე სერ ჯონ ვოგანმა¹⁰ დაადგინა, რომ მსაჯული არ უნდა დაკავონ კონკრეტული ვერდიქტის გამოტანის გამო. ამ საქმემ ცალსახად დაადგინა მსაჯულთა დამოუკიდებლობა.

დღეს თანამედროვე მოსამართლეს არ შეუძლია მიუთითოს მსაჯულს, დამნაშავედ ცნოს ბრალდებული. იმ დროს კი მოსამართლისათვის ნებადართული იყო, მოეთხოვა მთავარი მსაჯულისათვის ხელახლა დაბრუნებოდა უდანაშაულობის ვერდიქტს, როცა, მაგალითად, ის მიიჩნევდა, რომ არსებობდა უდავო მტკიცებულება ბრალდებისათვის. ამგვარი გზით მოსამართლეს გააჩნდა კონტროლის გარკვეული მექანიზმი მტკიცებულებებზე, რომლებიც მსაჯულებს წარედგინებოდა.



ნაფიცი მსაჯულები ინგლისის სასამართლოში, 1861 წელი

10. სერ ჯონ ვოგანი – ცნობილი ინგლისელი მოსამართლე (1603-1674 წლები)

ნაზიც მსაჯულთა სასამართლო თანამედროვე ეპოქაში (ცალკეული ძველები მაგალითები)

დიდი ბრიტანეთი

1972 წლამდე ინგლისში მოქმედებდა ასიზების სასამართლო (Courts of Assizes), რომელიც წარმოადგენდა პერიოდულ, სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოს ინგლისსა და უელსში. სასამართლოების შესახებ 1971 წლის აქტის თანახმად, ასიზების სასამართლო კვარტალური სხდომების სასამართლოსთან¹¹ (Quarter Sessions) ერთად გაუქმდა და იგი ჩაანაცვლა მუდმივმოქმედა გვირგვინის სასამართლომ (Crown Court), რომელსაც უკვე შეეძლო მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა.

ინგლისში სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებები სამ ჯგუფად იყოფა: 1) ნაკლებად მძიმე (summary) დანაშაული, რომელიც განიხილება მხოლოდ მაგისტრატების სასამართლოში (მაგალითად, მცირე მნიშვნელობის საგზაო დარღვევები, მატარებლით მგზავრობისას ბილეთის ღირებულების გადაუხდელობა და ა.შ); 2) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელსაც განიხილავს ინგლისისა და უელსის სასამართლოს ყველაზე დაბალი რგოლი – Crown Court. 3) ამ დანაშაულთა ორ უკიდურეს ტიპს შორის არსებობს დანაშაულთა ჯგუფი, რომელსაც „ორმხრივად განსჯადი“ დანაშაულები ეწოდება. ისინი შეიძლება განსაჯოს როგორც მაგისტრატების, ასევე გვირგვინის სასამართლომ (Crown Court) და როგორც ბრალდებულს, ასევე მაგისტრატს შეუძლია არჩევანი გვირგვინის სასამართლოზე გააკეთოს. თუ ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და პროცესი გაგრძელდება, მაშინ საქმეს განიხილავენ ნაფიც მსაჯულები. უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთში ბრალდებულთა უმეტესი

11. კვარტალური სხდომების სასამართლო (Quarter Sessions) მოქმედებდა ინგლისსა და უელსში. სხდომები ტარდებოდა სამ თვეში ერთხელ და იხილებოდა მსუბუქი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეები.

ნაწილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ირჩევს იმ რწმენით, რომ აქ გამართლების მეტი შანსია, ვიდრე - ერთპიროვნულად საქმის განმხილველი მოსამართლის პირობებში. მსაჯულები ასევე მონაწილეობენ სამოქალაქო საქმეთა განხილვაშიც, განსაკუთრებით ცილისწამების საქმეებზე და ასევე - იმ კატეგორიის საქმეებზე, სადაც მეორე მხარე სახელმწიფოა. ნაფიც მსაჯულთა კორპუსის შექმნა რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. ჯერ იწვევენ პოტენციურ მსაჯულთა ფართო წრეს, ხოლო შემდეგ მათ რიცხვს ამცირებენ სხვადასხვა პროცედურის საშუალებით, სანამ საქმის განხილვისათვის აუცილებელ რაოდენობას არ მიაღწევენ.



ინგლისისა და უელსის უზენაესი სასამართლოს შენობა (*The Royal Courts of Justice*)

მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 ნაფიცი მსაჯულისაგან, რომელთა ასაკი 18-დან 70 წლამდეა. მათ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ირჩევენ საარჩევნო სიებიდან. ინგლისში ჯერ კიდევ მე-14 საუკუნიდან არსებობდა მოთხოვნა, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი ერთსულოვანი უნდა ყოფილიყო. 1974 წელს „ნაფიც მსაჯულთა ფიურის შესახებ“

კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ეს წესი შეიცვალა და ახლა, თუკი ნაფიცი მსაჯულები ორი საათის განმავლობაში ვერ მივლენ ერთსულოვან ვერდიქტამდე, საქმეზე ვერდიქტის გამოტანა ხდება ხმათა უმრავლესობით (12-დან ან 11-დან - 10 ხმით; 10-დან - 9 ხმით; 9-დან კი - 8 ხმით). მიუხედავად ასეთი ცვლილებისა, ერთსულოვან ვერდიქტთა რიცხვი მაინც ჭარბობს არაერთსულოვან ვერდიქტებს.



ნაფიცი მსაჯულები მოსასვენებელ ოთახში

სადაპრიგებლო, ანუ შემაჯამებელი სიტყვის წარმოთქმის წესი და თვით სიტყვის შინაარსი მკაცრად რეგლამენტირებული არ არის. თითოეული მოსამართლე ამას ასრულებს გავრცელებული პრაქტიკისა და საკუთარი მეთოდების მიხედვით. სხდომის თავმჯდომარე უხსნის საპროცესო უფლება-მოვალეობებს, განხილვის პროცედურებს, მტკიცებულებათა შეფასების წესებს, სამართლის სხვა აუცილებელ პრინციპებსა და ნორმებს. ამას გარდა, საკმაოდ დეტალურად, სისტემატიზებულად აანალიზებს მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს.

ინგლისში განასხვავებენ ვერდიქტის ოთხ ვარიანტს. ესენია: ა) გენერალური ვერდიქტი, როდესაც ნაფიცი მსაჯულები ერთმნიშვნელოვნად წყვეტენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის შესახებ; ბ) ვერდიქტი, რომელიც დიფერენცირებულია, ანუ როცა წარდგენილი ბრალდების ერთ ნაწილში ვერდიქტი გამამტყუნებელია, ხოლო სხვა ნაწილში – გამამართლებელი; გ) ვერდიქტი, რომელიც განსასჯელს ცნობს დამნაშავედ არა წარდგენილ, არამედ სხვა, უფრო მსუბუქ დანაშაულში; დ) სპეციალური ვერდიქტი, როცა ნაფიცი მსაჯულები დადგენილად მიიჩნევენ გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ბრალდებას, მაგრამ ღიად ტოვებენ საკითხს განსასჯელის დამნაშავეობის შესახებ. დღეისათვის ასეთი ვერდიქტები გამოიყენება შეურაცხადი პირების მიმართ.

ინგლისში ნაფიცი მსაჯულების მიერ ვერდიქტის გამოტანის შემდეგ ტარდება განაჩენის გამოტანის წინა გამოძიება, რომელიც გულისხმობს განსასჯელის მიმართ ყველა საჭირო მონაცემის შეკრებას (იგულისხმება წარსული ნასამართლობა, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობა, სამსახურებრივი თუ პროფესიული საქმიანობა). აღნიშნულ მონაცემებს მოსამართლის დავალებით აგროვებს პრობაციის სამსახური, ან სოციალური სამსახურის თანამშრომელი.

რაც შეეხება ვერდიქტის აპელაციას, მე-20 საუკუნემდე ინგლისში მოქმედებდა დადგენილი ნორმა, რომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. შედგომში მიღებულმა კანონებმა ეს „ტრადიცია“ შეცვალეს. ვერდიქტის გასაჩივრება ხდება სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებაში. ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება დაცვისა და ბრალდების მხარეების აპელაციები.

დაცვის მხარის აპელაცია დაიშვება მხოლოდ საქმის განმხილველი სასამართლოს, ანდა თვით სააპელაციო სასამართლოს თანხმობით, რომელსაც შუამდგომლობით უნდა მიმართოს დაცვის მხარემ 28 დღის განმავლო-

ბაში. შუამდგომლობა განიხილება ერთპიროვნულად საქმის განმხილველ სასამართლოში. შუამდგომლობაზე უარი 14 დღის განმავლობაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში, სადაც მას განიხილავს 2 ან 3 მოსამართლე. თუ მათგან ერთი მაინც იქნება თანახმა, შუამდგომლობა გამოცხადდება დასაშვებად. სააპელაციო სასამართლოში საქმე იხილება ხელახლა, 3 პროფესიონალი მოსამართლის მონაწილეობით. თუ ვერდიქტი სწორად იქნა მიჩნეული, საპროცესო დარღვევების გამო იგი არ უქმდება. სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, გააუქმოს ვერდიქტი და თვითონვე გამოიტანოს ალტერნატიული ვერდიქტი, ან გაგზავნოს საქმე პირველი ინსტანციით ხელახლა არსებითად განსახილველად.

ბრალდების მხარის აპელაციის შემთხვევაში გენერალურ პროკურორს უფლება ჰქონდა, გაესაჩივრებინა ის საქმეები, რომლებზეც ბრალდებული გამართლდა, ოღონდ ეს ხდებოდა არა გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმების მიზნით, არამედ იმისთვის, რომ მომავალში არ დაეშვათ ანალოგიური სასამართლო შეცდომა. მოგვიანებით გენერალურ პროკურორს უკვე მიეცა განაჩენის გასაჩივრების უფლება სასჯელის სიმსუბუქის გამო. 1996 წელს კანონმდებლობამ, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, დაუშვა კიდევ ერთი გამონაკლისი: თუ არსებობს საფუძველი, რომ გამამართლებელი ვერდიქტი გამოტანილ იქნა ნაფიც მსაჯულებზე, ან მოწმეებზე არამართლზომიერი ზემოქმედების შედეგად, ბრალდების მხარეს უფლება აქვს, საქმე სააპელაციო წესით გაასაჩივროს, ოღონდ საჩივარი უნდა შეიტანონ უზენაეს სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია, ვერდიქტი გააუქმოს.

შოტლანდიაში ნაფიც მსაჯულთა ჟიური სისხლის სამართლის საქმეებზე შედგება 15 წევრისაგან, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე – 12 წევრისაგან. სისხლის სამართლის საქმეებზე აუცილებელი არ არის ვერდიქტი იყოს ერთსულოვანი. 15 ნაფიცი მსაჯულიდან 8-ის ხმა ცალსახად წყვეტს – დამნაშავეა თუ არა განსასჯელი. შოტლანდიაში არსებობს ვერდიქტის სამი სახეობა: 1) გამამტყუნებელი; 2) გამამართლებელი და 3) ვერდიქტი, როდესაც მსაჯულები აცხადებენ, რომ დანაშაული არ მტკიცდება.



ნაფიცი მსაჯულები სასამართლო სხდომის დარბაზში

შოტლანდიაში ნაფიცი მსაჯულთა ვერდიქტი შესაძლებელია, გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო. საპროცესო დარღვევათა შორის ყველაზე სერიოზულად მიიჩნევა მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულთათვის არასწორი სახელმძღვანელო მითითებების მიცემა.

ამერიკის შეერთებული შტატები

ინგლისური ზეგავლენით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გავრცელდა ინგლისის ყოფილ კოლონიებზე, თუ სხვა ქვეყნებში, რომლებიც ადრე ინგლისურ ზეგავლენას განიცდიდნენ და შემდეგ „საერთო სამართლის“ სისტემას შეუერთდნენ. ესენია: ამერიკის შეერთებული შტატები, ირლანდია, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია.



ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს შენობა

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ხელი შეუწყო ამერიკელთა შორის სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის განმტკიცებას. თუმცა ამ ინსტიტუტის დანერგვა და შემდგომი ფუნქციონირება ინგლისის ბატონობის ქვეშ მყოფი სახელმწიფოსათვის სულაც არ იყო ადვილი და უმტკივნეულო. თომას ჯეფერსონის¹² თქმით, ბრიტანეთი ხშირად უცერემონიოდ ახორციელებდა დაუშვებელ, უკანონო ზემოქმედებას ნა-

12. თომას ჯეფერსონი - ამერიკის შეერთებული შტატების მე-3 პრეზიდენტი (1801-1809 წლები); დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთი ძირითადი ავტორი.

ფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნიველირების მიზნით, მათ შორის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიდ ბრიტანელთათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად. ამგვარი ზეწოლა ხშირად უკურეაქციას იწვევს, რაც გამოჩნდა კიდეც 1734 წელს ჟურნალისტ ჯონ პიტერ ზენგერის¹³ საქმის განხილვისას. მას ბრიტანეთის სამეფო ტახტის სახელით ბრალად ედებოდა ყველასგან მოძულებული მეფის გუბერნატორის - კოსბის წინააღმდეგ შეამბოხე და ცილისმწამებლური სულისკვეთების სტატიის ნიუ-იორკის ჟურნალში გამოქვეყნება. ბრიტანული სასამართლოს მოხელეები შეეცადნენ, რომ ნაფიც მსაჯულთა ყიურიში შეეყვანათ კოსბის მომხრენი, მაგრამ ბრალდებულის დამცველმა



ზენგერის საქმის განხილვა
სასამართლოში

– ცნობილმა ადვოკატმა ფილადელფიიდან ენდრიუ ჰამილტონმა¹⁴ მოახერხა ამგვარ მსაჯულთა აცილება.

ხელახლა ფორმირებული შემადგენლობის ზოგიერთი წევრი კი უკვე ანტიბრიტანული განწყობისა აღმოჩნდა. სხდომაზე ადვოკატს არ მისცეს მოწმეების წარდგენის ნება, რომ მათ დაედასტურებინათ ბრალდებულის ნათქვამის ჭეშმარიტება. ამის შემდეგ

ჰამილტონმა მსაჯულებს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ეს პროცესი არ ეხება მხოლოდ ჟურნალისტს, ან ნიუ-იორკის ჟურნალს. ამ პროცესის შედეგებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ყველა თავისუფალ მოქალაქეზე, რომელიც ბრიტანული მმართველობის ქვეშ ცხოვრობს ამერიკის კონტინენტზე. საქმე ეხება უფრო მეტს, საქმე ეხება თავისუფლებას.“ ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს ზენგერი, ხოლო პროცესის შესახებ ცნობები

13. ჯონ პიტერ ზენგერი (1697-1746 წლები) – გერმანული წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტი და გამოცემელი; მუშაობდა ნიუ-იორკის ყოველკვირეულ ჟურნალში და ცნობილი იყო თავისი კრიტიკული სტატიებით.

14. ენდრიუ ჰამილტონი (1676-1741 წლები) – შოტლანდიელი ადვოკატი, რომელიც მოღვაწეობდა ამერიკაში და სახელი გაითქვა პიტერ ზენგერის საქმით; იგი ასევე იყო პენსილვანიის შტატის წარმომადგენელთა პალატის მე-18 სპიკერი.

ყველა კოლონიასა და ინგლისში გავრცელდა. ამ პრეცედენტს მოჰყვა სხვა გამამართლებელი ვერდიქტები ისეთი კატეგორიის საქმეებზეც, როგორიცაა გადასახადებთან დაკავშირებული საქმეები, გაქცეული მონების მიმართ აღძრული საქმეები (ჩრდილოეთ შტატებში) და ასე შემდეგ. იმ მიზეზით, რომ ნაფიც მსაჯულებს შესაძლოა, კიდევ გამოეტანათ გამამართლებელი ვერდიქტები, ამერიკელ კოლონისტებს საშემოსავლო გადასახადის გადაუხდელობისათვის აიძულებდნენ, საადმირალო სასამართლოსთვის (Admiralty Court) მიემართათ, სადაც საქმეებს იხილავდნენ მსაჯულების გარეშე. სახელმწიფო ღალატის საქმეები კოლონისტების მონაწილეობისა და დასწრების გარეშე იხილებოდა, რამაც, ცხადია, კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის და, თავის მხრივ, დააჩქარა ამერიკული რევოლუცია. თომას ჯეფერსონმა დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ამერიკული კოლონიების ინგლისიდან გამოყოფის ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა ბრიტანელთა ქცევა, რამაც ხშირ შემთხვევაში ამერიკელებს წაართვა უფლება, ესარგებლათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესით.

ამგვარად, 1734 წლიდან, ზენგერის საქმის განხილვის შემდეგ, ამერიკელმა კოლონისტებმა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს პოლიტიკური დატვირთვა შესძინეს, რის გამოც მან იურიდიულ-პოლიტიკური ინსტიტუტის სტატუსი შეიძინა და ფაქტობრივად საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებაში.

ამერიკული მისწრაფება, მაქსიმალურად ყოფილიყვნენ დაცული სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან, აისახა კონსტიტუციაში, რომელიც აღგენს: „იმპიჩმენტის გარდა, ყველა დანაშაული განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ“. კონსტიტუციის მე-6 შესწორება აცხადებს, რომ ფედერალური სისხლის სამართლის კანონის დარღვევაში ბრალდებულ პირს უფლება აქვს „მისი საქმე სწრაფად და საჯაროდ განიხილოს მიუკერძოებელმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომელიც მოქმედებს კანონით წინასწარ განსაზღვრულ იმ შტატში, ან ოლქში, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი“.



ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი

აშშ უზენაესმა სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული განვითარებისა და მისი კონსტიტუციური საფუძვლების მიმოხილვის შემდეგ ჩათვალა, რომ აშშ კონსტიტუცია არ მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წვრილმან დანაშაულთა საქმეებზე. წვრილმან დანაშაულებად სასამართლომ, ისტორიულ ფაქტებსა და ასევე ადრეულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით, მიიჩნია ის ქმედებები, რომლებზეც კანონით გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება 6 თვით თავისუფლების აღკვეთას.

ასეთი გადაწყვეტილება განაპირობა გახმაურებულმა სისხლის სამართლის საქმემ - **დანკანი ლუიზიანის შტატის წინააღმდეგ (*Duncan v. Louisiana*, 391 U.S. 145 (1968))**.¹⁵ 1966 წლის 18 ოქტომბერს ლუიზიანის შტატში მცხოვრებმა, 19 წლის გარი დანკანმა საკუთარი მანქანით მგზავრობისას გზატკეცილზე შენიშნა, რომ თავისი ორი შავკანიანი ბიძაშვილი ეკამათებოდა ოთხ თეთრკანიან ახალგაზრდას. მისი ბიძაშვილები ახლახან მიიღეს სკოლაში, რომელიც უწინ მთლიანად თეთრკანიანებისთვის იყო განკუთვნილი. დანკანმა მანქანა გააჩერა

15. იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Duncan_v_louisiana

და მოახერხა, რომ თავისი ბიძაშვილები მანქანაში ჩაესხა. განაჩენის მიხედვით, ჩასხდომის წინ მან ხელი გაართვა ერთ-ერთ თეთრკანიანს. ლუიზიანის შტატის სისხლის სამართლის კანონმდებლობით ადამიანის ცემა, დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე და ჯარიმით – 300 აშშ დოლარამდე. ლუიზიანის სასამართლომ აღნიშნულ ფაქტზე ცემის ბრალდებით დანკანს 60 დღით თავისუფლების აღკვეთა და 150 დოლარი ჯარიმის გადახდა დააკისრა. მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა ჯერ ლუიზიანის საშტატო სასამართლოში და შემდეგ – უზენაეს სასამართლოში. ის ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი კონსტიტუციური უფლება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, ვინაიდან ლუიზიანის კანონმდებლობით მისი საქმე არ განეკუთვნებოდა ნაფიცი მსაჯულების განსჯადობას. მათ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების განხილვა შეეძლოთ. აშშ კონსტიტუციის მე-2 მუხლის მეორე ნაწილი ადგენს: „ყველა დანაშაულს, იმპიჩმენტის პროცედურის გარდა, განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“. კონსტიტუციის მე-6 შესწორებით: „ყველა სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულს უფლება აქვს, მისი საქმე განიხილოს მიუკერძოებელმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ...“

როგორც ზემოთ აღინიშნა, აშშ უზენაესმა სასამართლომ საფუძვლიანად გამოიკვლია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ისტორიული განვითარება, მისი კონსტიტუციური საფუძვლები და მხოლოდ ამის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აშშ კონსტიტუცია არ მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წვრილმან დანაშაულთა საქმეებზე. მას შემდეგ დადგინდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა მოიცავს ყველა დანაშაულს, გარდა წვრილმანი დანაშაულისა, რომელიც ითვალისწინებს 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთას, ან ჯარიმას, რომლის ოდენობაც არ არის მნიშვნელოვანი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტი, სხვა, დემოკრატიული ინსტიტუტების პარალელურად, განვითარდა მე-19 - მე-20 საუკუნეებში. შესაბამისად, ისევე როგორც არჩევნებში მონაწილეობის უფლება, იგი

ყოველთვის არ იყო ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მოქმედებდა შეზღუდვები, რომლებიც უკრძალავდა ქალებს, შავკანიანებს ან კოლონიის ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ქონებრივი სტატუსის არმქონე პირებს, ყოფილიყვნენ ნაფიცი მსაჯულები. ეს შეზღუდვები თანდათანობით გაუქმდა მე-20 საუკუნეში. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც საერთო სამართლის სახელმწიფოში, აღიარებულია პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ნაფიც მსაჯულთა კორპუსი „საზოგადოებას უნდა წარმოადგენდეს“. ეს პრინციპი ამერიკულ სამართალში განიმარტება, როგორც „საზოგადოებრივი ფუნქციის“ გადაკვეთის პრინციპი.



მსაჯული ქალბატონები

1880 წელს აშშ უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე **სტრაუდერი დასავლეთ ვირჯინიის წინააღმდეგ** (*Strauder v. West Virginia*, 100 U.S. 303 (1880)).¹⁶ სტრაუდერი იყო შავკანიანი მამაკაცი, რომელიც მკვლელობისთვის გაასამართლა და მსჯავრი დასდო მთლიანად თეთრკანიანი მსაჯულებისაგან შემდგარმა ჟიურიმ. მოცემული დროისათვის დასავლეთ ვირჯინიის შტატი შავკანიანებს გამორიცხავდა ნაფიც მსაჯულთა კორპუსიდან. ბრალდებულმა ვერდიქტი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. მოსამართლე უილიამ სტრონგმა,¹⁷ რომელიც გამოხატავდა

16. იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Strauder_v._West_Virginia

17. უილიამ სტრონგი (1808-1895 წლები) – პენსილვანიის შტატის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე; აშშ უზენაესი სასამართლოს ასოცირებული მოსამართლე; პოლიტიკოსი.

უმრავლესობის აზრს, მიუთითა, რომ მხოლოდ მსაჯულთა კორპუსიდან არღვევდა ამერიკის კონსტიტუციის მე-14



მსაჯულთა შემადგენლობა

შესწორებით დადგენილ თანაბარი დაცვის გარანტიას (equal protection clause), ვინაიდან მე-14 შესწორება შავკანიანებს, თეთრკანიანების მსგავსად, უქმნიდა სამოქალაქო უფლებებით სრული და თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობას.

შავკანიანები მართლმსაჯულების განხორციელებაში რეალურად მონაწილეობენ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც უზენაესმა სასამართლომ დისკრიმინაციის საფუძველზე გააუქმა მხოლოდ თეთრკანიანი მსაჯულებისაგან შემდგარი ჟიურის მიერ გამოტანილი ვერდიქტები. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული საქმეა **ბატსონი კენტუკის შტატის წინააღმდეგ (Batson v. Kentucky, 476 U.S. 79 (1986))**,¹⁸ რომელიც 1986 წელს განიხილა უზენაესმა სასამართლომ. ბატსონი აფროამერიკელია, რომელსაც ბრალად ედებოდა ყაჩაღობა და მოპარული ნივთების შენახვა. კენტუკის საოლქო სასამართლოს ვერდიქტი ბრალდებულმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და მიუთითა, რომ მისი საქმის განხილვაში მონაწილეობდნენ მხოლოდ თეთრკანიანი მსაჯულები, რაც ერთ-ერთი არგუმენტი იყო იმისა, რომ ვერდიქტის გამოტანისას ისინი მიკერძოებულნი ყოფილიყვნენ. უზენაესმა სასამართლომ ეს არგუმენტი მისაღებად ჩათვალა და დაადგინა, რომ განსასჯელი უნდა წარდგენილიყო ნაფიც მსაჯულთა ისეთი შემადგენლობის წინაშე, რომელიც დაკომპლექტებული იქნებოდა განსასჯელის რასის წარმომადგენლებისაგან.

18. იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Batson_v._Kentucky

ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის საყოველთაო უფლების აღიარების პარალელურად დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ალბათობით შერჩევის პრინციპი, რომელიც, როგორც სავალდებულო, კონგრესმა 1970 წელს დაადგინა. დღეისათვის ამერიკის თითქმის ყველა შტატში ნაფიცი მსაჯულები კონკრეტულ საქმეებზე შეირჩევიან კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, საარჩევნო ან სხვა, საყოველთაო სიებიდან. ნაფიც მსაჯულთა შერჩევა წესრიგდება 1968 წელს მიღებული სპეციალური აქტის მეშვეობით, რომელსაც მსაჯულთა შერჩევის აქტი ჰქვია (Jury Selection and Service Act).

ნაფიც მსაჯულთა საკვალიფიკაციო ცნობარს, ანუ მსაჯულობის კანდიდატთა მიერ შესავსებად განკუთვნილ ანკეტას სასამართლო ფოსტით უგზავნის ადრესატს, რომელმაც დადგენილ ვადებში უნდა შეავსოს, ხელი მოაწეროს, ფიცის ქვეშ დაამოწმოს მასში მითითებულ მონაცემთა სისწორე და დაუბრუნოს გამგზავნს. პირი, რომელმაც შევსებული ცნობარი არ დააბრუნა, შეიძლება გამოიძახონ მდივანთან ან კომისიაში ასეთივე დოკუმენტის (ბლანკის) შესავსებად. თუ პირი არ გამოცხადდება, იგი გამოძახებულ უნდა იქნეს მოსამართლის ბრძანებით – განმარტების მისაცემად. თუ ბრძანებითაც არ გამოცხადდა და არც ამის საპატიო მიზეზის მტკიცებულება გამოგზავნა (ან შემდგომში არ წარმოადგინა), ასეთი პირი შეიძლება დაჯარიმდეს 100 დოლარით, ან დაისაჯოს 3 დღე-ღამის პატიმრობით, ანდა – ორივეთი ერთად. ასევე პასუხს აგებს ის, ვინც არსებითი მიშენელობის ფაქტს ან მონაცემს ცნობარში დაამახინჯებს ნაფიცი მსაჯულობისაგან თავის ასარიდებლად, ან პირიქით, იმ მიზნით, რომ უკანონოდ გახდეს ნაფიცი მსაჯული. ნაფიც მსაჯულად ვერ გახდება პირი, თუ არა აქვს იმ ქვეყნის მოქალაქეობა, სადაც გამოიძახეს მსაჯულად; თუ არ იცის სამართალწარმოების ენა; თუ ასაკობრივად შეუსაბამოა; თუ ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობა აქვს; თუ არსებობს პროფესიული, თანამდებობრივი, საქმიანობისა თუ სამსახურებრივი ნიშნის შემცველი გარემოება; თუ არსებობს მალისკვალიფიცირებული გარემოება.



1898 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნაფიც მსაჯულთა ჟიური სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას 12 პირისგან უნდა შედგებოდეს, თუმცა ამგვარი მოთხოვნა შესაძლებელია არ გავრ-

ცელდეს სამოქალაქო საქმეების განხილვისას. 1970 წელს უზენაესმა სასამართლომ ასეთი მიდგომა მიიჩნია „ისტორიულ შემთხვევითობად“ და დაადგინა, რომ ორივე კატეგორიის საქმეებზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისია 6 პირისგან შემდგარი ნაფიც მსაჯულთა ჟიური. არსებობს გარკვეული უთანხმოება პატარა ჟიურის თაობაზე, რადგან ამ იდეის მომხრეები აღნიშნავენ ამგვარი ჟიურის მეტ ეფექტურობასა და მოქნილობას, ხოლო ოპონენტები კი დაობენ, რომ მათ მიერ (იგულისხმება პატარა ჟიური) გამოტანილი ვერდიქტები ხშირად ცვალებადია. მოგვიანებით, საქმეების განხილვისას, უზენაესმა სასამართლომ უარყო 5-კაციანი ჟიურის მიერ სისხლის სამართლის საქმეების განხილვა. მსაჯულები შეირჩევიან “voire dire”-ს პრინციპით, რაც ძველ ფრანგულად ნიშნავს „სამართლის თქმას“. ამ პროცედურისას მოსამართლე, ან პროცესის მონაწილე მხარე პოტენციურ მსაჯულს წინასწარ დაკითხავს, რათა გამოვლინდეს, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად. ნაფიც მსაჯულს შეიძლება დაუსვან შეკითხვები მისი გამოცდილების, სტერეოტიპების, საქმის სამართლიანად გადაწყვეტის უნარის და ა.შ. შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლომ ხაზგასმით აღიარა “voire dire”-ს პრინციპის მნიშვნელობა მსაჯულთა მიუკერძოებლობის გამორიცხვის პროცესში, შესაბამისად, გააუქმა განაჩენი, სადაც დაცვის მხარეს მსაჯულის ეფექტური გამოკითხვის უფლება არ მიეცა რასობრივი საკითხის საქმეზე **ოლდრიჯი შეერთებული შტატების წინააღმდეგ** (*Aldridge v.*

United States, 283 U.S. 308 (1931)). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს პროცედურა ხშირად პროცესის გაჭიანურების მიზეზი ხდება და საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამის გამო, მოსამართლეს შეუძლია ორნაირად შეკვეცოს ხანგრძლივი “voire dire”-ს პროცედურა. კერძოდ, შეზღუდოს მხარეთა მიერ დასმული შეკითხვების ოდენობა და შინაარსი, ან თვითონ გამოკითხოს პოტენციური მსაჯული მხარეთა მიერ მიწოდებული კითხვების საფუძველზე. ტრადიციულად პოტენციურ მსაჯულთა შეცვლა საქმეზე არ მოითხოვს რაიმე ახსნა-განმარტებასა თუ დასაბუთებას, მაგრამ ეს ტრადიცია უზენაესმა სასამართლომ შეცვალა. 1970-იანი წლებიდან ძალიან პოპულარული გახდა ე.წ. მსაჯულთა მეცნიერულ საფუძველზე შერჩევა (Scientific jury selection). ასეთ შერჩევას იყენებდნენ ვიეტნამის ომის საქმეთა განხილვისას. მსაჯულთა მეცნიერულ საფუძველზე შერჩევა ეფექტურად გამოიყენება მნიშვნელოვანი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას.

მსაჯულთა ერთსულოვანი ვერდიქტის აუცილებლობა უზენაესმა სასამართლომ დაადგინა 1897 წელს, მაგრამ ეს წესი უარყოფილ იქნა 1972 წელს. 1999 წლისათვის 30-ზე მეტ შტატში კანონმდებლობით ნებადართულია ხმათა უმრავლესობით გამოტანილი ვერდიქტები სამოქალაქო საქმეებზე, მაგრამ ორეგონისა და ლუიზიანის შტატებში ამგვარი ვერდიქტები დაშვებულია სისხლის სამართლის საქმეებზეც. იმ შემთხვევაში, თუ მსაჯულთა საჭირო რაოდენობა ვერ ახერხებს ვერდიქტზე შეთანხმებას, საქმის განხილვა ცხადდება არასწორად და შესაძლებელია, საქმე ხელახლა გადასინჯოს ახლად არჩეულმა ჟიურიმ. მსაჯულები ძირითადად წყვეტდნენ ბრალეულობის საკითხს, ხოლო სასჯელის დაკისრების საკითხის გადაწყვეტა იყო მოსამართლის პრეროგატივა. ეს წესი შეიცვალა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც მან გამოიტანა საქმეზე **რინგი არიზონის შტატის წინააღმდეგ (*Ring v. Arizona*, 536 U.S. 584 (2002))**,¹⁹ სადაც არიზონის შტატში არსებული პრაქტიკა (მოსამართლის მიერ სასჯელის უმაღლესი ზომის – სასიკვდილო,

19. იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Ring_v._Arizona

ან უკიდურეს პატიმრობის – დაკისრების საკითხის გადაწყვეტა) მიიჩნია არაკონსტიტუციურად და ამ გადაწყვეტილების მიღება გადააბარა მსაჯულებს. საქმის მასალების მიხედვით, ტიმოთი რინგმა და მისმა მეგობრებმა დააყარა დაჯავშნული მანქანა, საიდანაც გაიტაცეს ნახევარ მილიონზე მეტი ოდენობის ფულადი თანხა და ჩეკები. ძარცვისას მოკლეს მძღოლი. ტიმოთი რინგს, რომელიც ამ ყაჩაღობის მთავარი მონაწილე იყო, ბრალად წაუყენეს პირველი ხარისხის მკვლელობა, რაც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას. მსაჯულთა ვერდიქტის თანახმად, რინგი დამნაშავედ იქნა ცნობილი და არიზონის სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. მოგვიანებით, როდესაც საქმე გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში, მსჯავრდებულს მიეცა საქმის ხელახალი გასაჩივრების უფლება.

მსაჯულთა თათბირის რაიმე კონკრეტული ფორმა არ არის დადგენილი. პირველი ნაბიჯია მთავარი მსაჯულის, ანუ თავმჯდომარის არჩევა, თუმცა ეს შესაძლოა, მოხდეს ვერდიქტის გამოტანის შემდეგაც, თუ საქმე არის მცირე მოცულობის, ან მარტივი კატეგორიის. თუ თავმჯდომარე თათბირის დაწყებისთანავე აირჩიეს, მაშინ ის უწევს თავმჯდომარეობას და წარმართავს განხილვის, მსჯელობისა და შეფასების პროცესს.



მსაჯულები სათათბირო ოთახში (მოდელირებული სცენა)

ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოებას საიმედოდ აკონტროლებენ სასამართლოს დაცვის თანამშრომლები, ანდა მოსამართლის დავალებით - პოლიციელები. უწინარესად, საუბარია ნებისმიერ გარეშე პირთან რაიმე კონტაქტის გამორიცხვაზე. მოსამართლის ნებართვით, ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სათათბირო ოთახში ჰქონდეთ ნივთიერი მტკიცებულებები და დოკუმენტები, რომლებიც, მათი აზრით, ხელს შეუწყობს ჯეროვანი ვერდიქტის გამოტანას. ამავე მიზნით მოსამართლე მათ ურიგებს იმ დანაშაულების წერილობით ჩამონათვალს, რომელთა შესახებაც უკვე ჰქონდა საუბარი შემაჯამებელ (სადამრიგებლო) სიტყვაში და რომელთა გამოც უნდა იქნეს გამოტანილი ვერდიქტი. ვერდიქტის გამოტანისას ნაფიცი მსაჯულები ითვალისწინებენ როგორც მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვას, ისე მხარეთა წინადადებებს, რომლებიც ამ სიტყვის წარმოთქმამდე წერილობით წარედგინა მოსამართლეს. მათში მხარეები გადმოსცემენ თავიანთ თვალსაზრისს არსებული მტკიცებულებების, განსასჯელის ბრალეულობის დადასტურებისა თუ დაუდასტურებლობის თაობაზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს მოტივირება და დასაბუთება არ სჭირდება. ვერდიქტს აცხადებს მთავარი მსაჯული ღია სასამართლო სხდომაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ მოსამართლე და განსასჯელი. სხვა მონაწილეები ესწრებიან სურვილისამებრ. გამოცხადებული ვერდიქტი დაუყოვნებლივ შეიტანება სხდომის ოქმში ან სტენოგრამაში. ჩანაწერი დაუყოვნებლივ, იქვე წაეკითხებათ ნაფიც მსაჯულებს, რომლებიც ხელის მოწერით ადასტურებენ ჩანაწერის სისწორეს. თუ ეს არ მოხდა, მოსამართლე არ მიიღებს ვერდიქტს და ნაფიც მსაჯულებს შესთავაზებს თათბირის განახლებას. თუ ნაფიცი მსაჯულები ხელმოწერით ადასტურებენ ვერდიქტს, ისინი დაუყოვნებლივ თავისუფლდებიან პროცესისგან.

ავსტრალია

ავსტრალიის კონსტიტუციის მე-80 მუხლის მიხედვით, ნებისმიერი ბრალდების საქმე სასამართლოში უნდა განიხილებოდეს მსაჯულების მონაწილეობით. პირველი სასამართლო მსაჯულების მონაწილეობით შედგა 1841 წლის აპრილში ქალაქ ბერიმაში (ახალი სამხრეთ უელსი).



ბერიმის სასამართლოს ისტორიული შენობა ავსტრალიაში

ბერიმის სასამართლოს შენობა აშენდა 1836-1838 წლებში არქიტექტორ მორტიმერ ლუისის პროექტით. 1841 წელს ამ შენობაში პირველად ჩატარდა სასამართლო სხდომა მსაჯულების მონაწილეობით. ყველაზე გახმაურებულ საქმეთა შორის იყო ჯონ ლინჩის საქმე, რომელსაც მიესაჯა სიკვდილით დასჯა, სავარაუდოდ, 9 ადამიანის მკვლელობისათვის. ასევე მნიშვნელოვანი იყო ლუკრეცია დანკლისა და მისი მეგობრის - მარტინ ბიჩის საქმე. ორივე ბრალდებულს მსაჯულებმა გამოუტანეს სიკვდილით დასჯის ვერდიქტი ქალბატონი დანკლის მეუღლის მკვლელობის გამო.

ავსტრალიაში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მონაწილეობს 12 ნაფიცი მსაჯული, ხოლო სამოქალაქო საქმეებს მსაჯულები იხილავენ ერთ-ერთი, ან ორივე მხარის მოთხოვნით. ნაფიცი მსაჯულების კანდიდატთა შერჩევა ხდება საარჩევნო სიებიდან, კომპიუტერის მეშვეობით და შემთხვევითობის პრინციპით.

ავსტრალიის ზოგიერთ შტატში მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ

ხმათა უმრავლესობით. კერძოდ, სამხრეთ ავსტრალიის, ვიქტორიის, დასავლეთ ავსტრალიის, ტასმანიის, ჩრდილოეთის ტერიტორიებსა და ახალ სამხრეთ უელსში მსაჯულებს ვერდიქტი გამოაქვთ ხმათა უმრავლესობით. ქუინსლენდსა და ავსტრალიის დედაქალაქის გარშემო ტერიტორიებზე მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ ერთსულოვნად. 1927 წლიდან სამხრეთ ავსტრალიაში დაუშვეს ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება სისხლის სამართლის საქმეებზე 11, 10 ან 9 ხმის უპირატესობით იმ



მსაჯულთა ოთახი სასამართლოს
შენობაში

შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ვერ მიიღებოდა 4 საათის განმავლობაში. ვიქტორიის შტატში იმავე პირობით ვერდიქტის გამოტანა დაუშვეს 1994 წლიდან. დასავლეთ ავსტრალიის შტატში ხმათა უმრავლესობით მიღებული ვერდიქტი ყველა კატეგორიის საქმეებზე, გარდა მკვლელობის დანაშაულისა, ასევე საზოგადო პატიმრობის მისჯის შემთხვევაში დაუშვეს 1957 წლიდან. ტასმანიის შტატში ხმათა უმრავლესობით მიღებული ვერდიქტი (10 ხმა 2 წინააღმდეგ) ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე, გარდა მკვლელობისა და სახელმწიფო ღალატისა, თუკი ერთსულოვანი გადაწყვეტილება ვერ მიიღებოდა 2 საათის განმავლობაში, დაუშვეს 1926 წლიდან. 1943 წლიდან ეს წესი გავრცელდა ვერდიქტზე – „არ არის დამნაშავე“ – მკვლელობისა და სახელმწიფოს ღალატის ბრალდების შემთხვევებშიც, მაგრამ ვერდიქტი უნდა განხილულიყო ექვსი საათის განმავლობაში. ჩრდილოეთ შტატში ხმათა უმრავლესობით მიღებული ვერდიქტი დაუშვეს 1963 წლიდან, განურჩევლად ყველა კატეგორიის საქმეების განხილვისას. თათბირი შესაძლოა, გაგრძელდეს 6 საათს, ვიდრე ხმათა უმრავლესობით არ იქნებოდა მიღწეული ვერდიქტი. 2005 წლიდან ახალ სამხრეთ უელსშიც დაუშვეს ხმათა უმრავლესობით ვერდიქტის მიღება.

გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგად გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმება შეუძლებელია – ერთი და იმავე დანაშაულისათვის ორჯერ პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე. რაც შეეხება გამამტყუნებელ ვერდიქტს, მასზე საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც სამართლის, ასევე ფაქტის საკითხებზე. სააპელაციო საჩივარს ძირითადად იმის დასადგენად ამოწმებენ, არის თუ არა დაშვებული „მართლმსაჯულების შეცდომა“ (მაგალითად, მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება, მტკიცებულებათა არასწორად დაშვება ან ამორიცხვა), რის გამოც ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არის „არამყარი და არადადამაყოფილებელი.“ ინფორმაცია მსაჯულთა შესახებ შესაძლებელია ხელმისაწვდომი გახადოს სასამართლომ, ან მხარემ თვითონ მოიპოვოს საკუთარი მოკვლევის ჩატარებით, ან ნაფიც მსაჯულთათვის შეკითხვების დასმით.



მსაჯულები სასამართლო სხდომაზე

კანადა

კანადის კანონმდებლობის თანახმად, ბრალდებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ იგი გაასამართლოს მსაჯულთა სასამართლომ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელი აღემატება 5 წელიწადზე მეტს. რაც შეეხება ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა მკვლელობა, ან სახელმწიფოს ღალატი, მათ განხილვაში ყოველთვის მონაწილეობენ მსაჯულები და მოსამართლე, თუკი ბრალდებული და პროკურორი თანახმა არიან, რომ საქმე განიხილონ მსაჯულების მონაწილეობით. მსაჯულთა საბოლოო ვერდიქტი – ცნონ თუ არა პირი დამნაშავედ ან უდანაშაულოდ - უნდა იყოს ერთსულოვანი, მაგრამ მათ შეუძლიათ ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრება მტკიცებულებათა შესახებ.



კანადის უზენაესი სასამართლოს შენობა

მსაჯულები არ იძლევიან რეკომენდაციას განაჩენის ხანგრძლივობის შესახებ, გარდა მეორე ხარისხის მკვლელობისათვის პირობით ვადამდე განთავისუფლების შეუსაბამობაზე (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე არ იზღუდება მსაჯულთა რეკომენდაციით და, თავის მხრივ, მსაჯულებსაც არ მოეთხოვებათ რეკომენდაციის მიცემა).

კანადაში მსაჯულები შეირჩევიან შესაბამისი კრიტერიუმებით. სავარაუდო მსაჯულებს შესაძლოა, დაუსვან მხოლოდ კონკრეტული შეკითხვები, რომლებიც შერჩეულია უშუალოდ მიუკერძოებლობის გამოსარკვევად, ან სხვა, შესაბამისი საკითხების დასადგენად. ნებისმიერი სხვა შეკითხვა დადასტურებული და ნებადართული უნდა იყოს მოსამართლის მიერ.



ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა სასამართლო სხდომაში

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისხლის სამართლის საქმეზე თავდაპირველად შედგება 12 მსაჯულისაგან. შემცვლელი მსაჯულები არ არიან. იმ შემთხვევაში, თუ მსაჯული გათავისუფლდა სასამართლო განხილვის მსვლელობისას, სასამართლო გაგრძელდება, თუ მსაჯულთა რაოდენობა 10-მდე დავა.

მსაჯულთა სახელების გამოქვეყნება დაცულია. არსებობს კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სასჯელი იმ შემთხვევაში, თუ გამჟღავნდება ნებისმიერი ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მსაჯულთა შერჩევასთან. მსაჯულებს იშვიათად იძახებენ სამოქალაქო საქმეთა განხილვისას, რადგან მათ არ შეუძლიათ განსაზღვრონ ზარალის ანაზღაურების დაკისრების საკითხი, როგორც ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ირლანდია

ირლანდიაში საერთო სამართლის იურისდიქციის მსაჯულთა სასამართლო ხელმისაწვდომია სისხლის სამართლის საქმეებზე, ასევე ცილისწამების საქმეებზე – საოლქო სასამართლოებსა და ცენტრალურ სისხლის სამართლის სასამართლოში. მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისაგან, რომლებსაც მსაჯულთა კანდიდატების რიცხვიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არჩევენ ოლქის არქივარიუსი. მსაჯულთა კანდიდატები შეირჩევიან საარჩევნო სიიდან.



მსაჯულები კენჭისყრისას (იმიტირებული პროცესი)

მსაჯულები წყვეტენ მხოლოდ ფაქტობრივ საკითხებს. ისინი არ მონაწილეობენ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის გამოტანაში, ან ზარალის ანაზღაურების მიკუთვნებაში – ცილისწამების საქმეებზე. აუცილებელი არ არის, რომ მსაჯულთა ვერდიქტი ერთსულოვანი იყოს. სამოქალაქო საქმეებზე ვერდიქტი გამოაქვს უმრავლესობას, რომელიც განისაზღვრება 9 ხმით 12 მსაჯულიდან (ანუ 9 ხმით სამის წინააღმდეგ). სისხლის სამართლის საქმეზე ვერდიქტი საჭირო არ არის იყოს ერთსულოვანი, როცა მსაჯულები არიან არა უმცირეს თერთმეტისა, თუ 10 მათგანი თანხმდება ვერდიქტზე მას შემდეგ, რაც საქმეს განიხილავს „გონივრულ ვადაში.“



ირლანდიის უზენაესი სასამართლოს შენობა

კონკრეტული ტერორისტული და ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევაში გენერალურ პროკურორს შეუძლია გამოცეს ცნობა იმის თაობაზე, რომ ბრალდებული უნდა გასამართლდეს სპეციალურ სისხლის სამართლის სასამართლოში (რაც გულისხმობს სპეციალური იურისდიქციის სასამართლოს). მსაჯულთა ნაცვლად, სპეციალური სისხლის სამართლის სასამართლო შედგება სამი მოსამართლისაგან, რომელთაგან ერთი რაიონული სასამართლოდანაა, ერთი – საოლქო, ხოლო ერთიც – უმაღლესი სასამართლოდან.

ირლანდიური კანონმდებლობის თანახმად, მსაჯულებს არ ეძლევათ ანაზღაურება მსაჯულის საქმიანობისათვის, არც მგზავრობის ხარჯები უნაზღაურდებათ, თუმცა სასამართლო სხდომის დღეებში ისინი უფასოდ იკვებებიან.

ახალი ზელანდია

ახალი ზელანდიის სასამართლოებში მსაჯულები მონაწილეობენ სისხლის სამართლის ბრალდების საქმეების განხილვაში, ასევე – წვრილმანი დანაშაულის საქმეებზე, რომლებიც დასჯადია სამ თვეზე მეტი ხნის პატიმრობის ვადით. სამოქალაქო საქმეებში მსაჯულები მონაწილეობენ მხოლოდ ცილისწამების საქმეთა განხილვაში.



ახალი ზელანდიის უზენაესი სასამართლოს შენობა

2004 წელს ახალი ზელანდიის პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კანონ-პროექტი, რომლის მიხედვითაც, ვერდიქტი შეიძლება მიღებულ იქნეს ხმათა უმრავლესობით – 11 ხმით ერთი წინააღ-

მდეგ. 2006 წელს გაიმართა მეორე მოსმენა და პარლამენტმა მხარი დაუჭირა ამ ცვლილებას.

ახალ ზელანდიაში ნაფიცი მსაჯულების კანდიდატებს ირჩევენ საერთო და გაორების (აბორიგენი მოსახლეობა) საარჩევნო სიებიდან, თითოეული სასამართლო ოლქისათვის. ნაფიც მსაჯულთა შესახებ არსებული კანონმდებლობის თანახმად, სიებს ადგენს საარჩევნო ცენტრი.

სასამართლოზე მხარეებს უფლება აქვთ, დააყენონ 6-6 კანდიდატის (მსაჯულის) აცილების საკითხი ისე, რომ არ დაასაბუთონ შუამდგომლობის მოთხოვნის მიზეზი.



ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის დარბაზი

ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვის მიმდინარეობისას, ან თუნდაც პროცესის დასასრულს ნაფიც მსაჯულებთან ნებისმიერი პირის რაიმე სახის კონტაქტი კვალიფიცირდება როგორც „სასამართლოს უპატივცემულობა და იწვევს სისხლისსამართლებრივ დევნას.“ ერთსულოვანი ვერდიქტის გამოსატანად დადგენილია თათბირის ოთხსაათიანი მინიმალური დრო. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი ვერ შეთანხმდნენ და მოსამართლე მიიჩნევს, რომ ვერც შეთანხმდებიან, იგი დაითხოვს ნაფიც მსაჯულებს და დანიშნავს საქმის ხელახალ განხილვას. მაგრამ თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ერთსულოვანი ვერდიქტის დადგენის შანსი, მოსამართლე მიმართავს მათ წინადადებით, რომ კვლავ სცადონ შეთანხმება.

საფრანგეთი

საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემოიღეს იმპერატორ ნაპოლეონის დროს, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ ტერიტორიებზე – ძირითადად დიდ ქალაქებში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ორი კოლეგიისაგან: 1) 8 კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც წყვეტდა ბრალდებაში მიცემის საკითხს და 2) 12 ნაფიცი მსაჯულისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციით არსებითად იხილავდა საქმეებს და პროფესიონალი მოსამართლისაგან დამოუკიდებლად წყვეტდა განსასჯელის ბრალეულობის საკითხს. მათ პარტნიორობას უწევდა სამი პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის ვერდიქტის საფუძველზე გამოჰქონდა განაჩენი – გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე მსჯავრდებულს უნიშნავდა სასჯელს. ამგვარი ვერდიქტის გამოსატანად საჭირო იყო, სულ ცოტა, 10 ხმა.



ასიზების სასამართლო დარბაზი

ასეთი სახით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საფრანგეთში იარსება მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, რის შემდეგაც ნაფიცი მსაჯულები და პროფესიონალი მოსამართლეები ერთ კოლეგიად გააერთიანეს.

ამჟამად საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ცნობილია, როგორც „ასიზების სასამართლო“. ასიზები, ანუ ნაფიცი მსაჯულები სისხლის სამართლის საქმეს სამ პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად იხილავენ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია მძიმე დანაშაული, რისთვისაც სასჯელის სახით შესაძლოა, განისაზღვროს პატიმრობა 10 წელიწადზე მეტი ხნის ვადით.

საქმეებს განიხილავს 9 მსაჯული და 3 მოქმედი მოსამართლე, რომელთაგან ერთ-ერთი სხდომის თავმჯდომარეა. მსაჯულები ჯერ იკვლევენ ბრალეულობის საკითხს, ხოლო ბრალის დამტკიცების შემდეგ იწყებენ მსჯელობას სასჯელის შეფარდების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯულთა სასამართლო გამოიყენება მხოლოდ მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას.

საფრანგეთის ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოქმედებს ასიზების სასამართლო. 2001 წლამდე მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრება შეუძლებელი იყო სააპელაციო სასამართლოში. მისი გასაჩივრება შესაძლებელი იყო მხოლოდ საფრანგეთის უზენაეს სასამართლოში, რომელსაც, თავის მხრივ, შეეძლო მხოლოდ საქმის გადასინჯვა პროცედურისა და კანონის დარღვევის საფუძველით. ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში, რაც საკმაოდ იშვიათი გამონაკლისია, სასამართლო ხელახალი განხილვისათვის საქმეს გადაუგზავნის ასიზების სხვა სასამართლოს.



სასამართლო სხდომის დარბაზი

იტალია

იტალიაში სამოქალაქო საქმეებზე სახალხო მსაჯულები წარმოდგენილი არიან მსაჯულთა სასამართლოში, სადაც ორ პროფესიონალ მაგისტრატ მოსამართლეს საქმეთა განხილვაში ეხმარება 6 ე.წ. არაპროფესიონალი მოსამართლე (Lay Judges), რომლებსაც ირჩევენ საარჩევნო სიიდან ლატარიის პრინციპით.

მსაჯულად შეიძლება დაინიშნოს იტალიის ნებისმიერი, 30-დან 65 წლამდე ასაკის მოქალაქე, სქესისა და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. თუმცა, საჭიროა მინიმალური საგანმანათლებლო მოთხოვნები იმისათვის, რომ კანდიდატი შესაფერისი იყოს მსაჯულად დანიშვნისათვის. ესაა ე.წ. არასრული საშუალო სკოლა (Scuola Media, *i.e.* junior high school), სააპელაციო სასამართლო ინსტანციისათვის მსაჯულად დასანიშნ კანდიდატს კი დამთავრებული უნდა ჰქონდეს სრული საშუალო სკოლა (Scuola Superiore, *i.e.* senior high school).

მსაჯულთა სასამართლოში გადაწყვეტილებებს იღებენ ის მოსამართლეები, ან ე.წ. არაპროფესიონალი მოსამართლეები (“Lay Judges”), ან მსაჯულები, რომლებსაც დანიშნული აქვთ ანაზღაურება (ხელფასი, ან სტიპენდია). ისინი ერთობლივად იკრიბებიან დახურულ კარს მიღმა სათათბირო ოთახში (Camera di Consiglio, *i.e.* “Counsel Chamber”), სასამართლოს ევალუბა ვერდიქტის გამოტანიდან 90 დღეში გამოაქვეყნოს მიღებული გადაწყვეტილების წერილობითი განმარტება.



იტალიის უზენაესი სასამართლოს შენობა

მსაჯულთა სასამართლოს განსჯადია ისეთი სისხლის სამართლის დანაშაულები, რომლებიც ითვალისწინებს მაქსიმუმ 24-წლიან, ან სამუდამო პატიმრობას და ასევე, სისხლის სამართლის სხვა სერიოზული დანაშაულები, კერძოდ: ტერორიზმის დანაშაული, განზრახი და არაგანზრახი მკვლელობა, სახელმწიფო მოღვაწე პირებზე თავდასხმა (სიცოცხლის ხელყოფის მიზნით), ისევე – როგორც სამართლის სხვა საკითხები, რომლებიც საჭიროებს ეთიკურ და პროფესიულ შეფასებას (მაგალითად: ევთანაზია). მსაჯულთა განსჯადობა არ ვრცელდება ისეთ საქმეებზე, რომელთა შეფასება საჭიროებს კანონის ცოდნას, რაც მსაჯულებს ზოგადად არა აქვთ. სასჯელი, რომელიც გამოაქვს სასამართლოს, შესაძლებელია მოიცავდეს სამუდამო პატიმრობასაც.

ესპანეთი

ესპანეთის 1978 წლის კონსტიტუციამ ფრანკოს დიქტატურის შემდეგ კანონით დაუშვა მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელსაც ეწოდა „სახალხო მსაჯული.“ აღნიშნული კონსტიტუციის თანახმად, მოქალაქეებს შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაში.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ესპანეთში ძალიან ნელა ინერგებოდა და ხშირად სასურველზე ნაკლებ შედეგს აღწევდა. ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, იყო ახალგაზრდა ბასკი ნაციონალისტის – მიქელ ოტეგის საქმე, რომელიც გაასამართლეს 1997 წელს ორი ბასკი პოლიციელის მკვლელობის



ესპანეთის უზენაესი სასამართლოს შენობა

გამო. 1997 წლის 7 მარტს ოტეგი გაამართლა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ (ცხრა მსაჯულიდან ხუთმა გამამართლებელ ვერდიქტს დაუჭირა მხარი), მისი შეზღუდულ შერაცხადად ცნობის გამო. ჟიურის აზრით, მკვლელობა მიქელ ოტეგემ ჩაიდინა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რაც გამოიწვია სიმთვრალეში მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულმა ძალადობამ, რის შემდეგაც მოსამართლემ ბრალდებული გაათავისუფლა. ამ ვერდიქტით მთელი ესპანეთი შოკირებული იყო, რადგან საზოგადოების აზრით, ვერდიქტი არ შეესაბამებოდა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანა განპირობებული იყო ან ბასკი ნაციონალისტებისადმი სიმპათიით, ან მათი მხრიდან შურისძიების შიშით. ამან წარმოშვა მოთხოვნა (მათ შორის პოლიტიკური პარტიების მხრიდანაც) ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმების, ან ბასკების

მხარეში მისი დროებით შეჩერების შესახებ. მაგრამ პარტიათა შორის კომპრომისის მეშვეობით, ნაფიც მსაჯულთა შესახებ სპეციალური კანონით შემოღებული ეს ინსტიტუტი დღემდე განაგრძობს ფუნქციონირებას.

მეორე გახმაურებული საქმე, რომელიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, ასევე უკავშირდება მართლმსაჯულების წარუმატებლად განხორციელებას. ეს არის ვანინჰოფის მკვლელობის საქმე (*Wanninkhof case*).²⁰



მსაჯულები მონაწილეობენ
სასამართლო განხილვაში

შემთხვევა მოხდა სამხრეთ ესპანეთში. 1999 წელს მოკლეს 19 წლის როსიო ვანინჰოფი. მსაჯულთა სასამართლოს შემდეგ, რომელიც ძალიან დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მკვლელობაში ბრალდებულად ცნეს მოკლულის დედის მეგობარი დოლორეს ვასკესი. ახალი - დნმ-ის მტკიცებულებით დადასტურდა, რომ ნამდვილი მკვლეელი იყო ინგლისელი ექსპატრიატი ტონი ალექსანდერ კინგი.



როსიო ვანინჰოფი

1999 წლის 9 ოქტომბერს 19 წლის როსიო ვანინჰოფი დაემშვიდობა დედას, ალისია ჰორნოს და სტუმრად გაემგზავრა თავის მეგობარ ანტონიო ხოსე ხურადისტან, რომელიც ცხოვრობდა ქალაქთან ახლოს, სამხრეთ ესპანეთში. საღამოს, დაახლოებით 9:30 საათისთვის, მან თავის მეგობარს უთხრა, რომ უნდა წასულიყო სახლში შხაპის მისაღებად და მოგვიანებით მას კვლავ შეხვდებოდა.

მომდევნო დღეს დედამ თავის მეორე გოგონას, როზას სთხოვა, რომ ანტონიოსთვის ეკითხა, თუ სად იყო როსიო. ანტონიომ აუხსნა, რომ რო-

20. იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Wanninkhof_case

სიო იმ დღეს აღარ უნახავს, მაგრამ იცოდა, რომ ის რომელიმე თავის მეგობართან გაატარებდა საღამოს. დედა შეშფოთდა და გადაწყვიტა ფეხით გაეეღო, რა დროსაც მან აღმოაჩინა სისხლის კვალი და ტანსაცმელი, რომელიც, სავარაუდოდ, როსიოსი უნდა ყოფილიყო. მან მაშინვე შეატყობინა პოლიციას და დაიწყო ძებნა, მაგრამ გოგონა ვერ იპოვეს.

პოლიციამ გამოავლინა ექვსი ეჭვმიტანილი. პირველი მათგანი მეგობარი ანტონიო იყო, მაგრამ დაკითხვისთანავე ის გაათავისუფლეს. მეორე ეჭვმიტანილი იყო დოლორეს ვასკესი, რომელიც გარდაცვლილის დედის ახლო მეგობარი და საყვარელი იყო. მისი სატელეფონო ზარები გადამოწმდა და ის იმყოფებოდა ზედამხედველობის ქვეშ.

სამი კვირის შემდეგ როსიოს ცხედარი იპოვეს მკვლელობის ადგილიდან საკმაოდ მოშორებით. დამნაშავეს უცდია გვამის დაწვა და შედეგად იგი იმდენად იყო დასახიჩრებული, რომ ვერ მოხერხდა დადგენილიყო, მოხდა თუ არა სექსუალური ძალადობა მსხვერპლზე, მაგრამ ის კი დადგინდა, რომ გოგონას მკერდში ერთი, ხოლო ზურგში რვა ჭრილობა ჰქონდა მიყენებული.

დოლორეს ვასკესი ეჭვმიტანილად ცნეს. ის მრავალჯერ დაიკითხა, მაგრამ არანაირი დანაშაული არ აღიარა. პირიქით, მან დაამტკიცა, რომ ის იმყოფებოდა გარდაცვლილის დედასთან სახლში და უვლიდა მას და მის ნათესავს და რამდენჯერმე ღარეკა კიდეც ტელეფონით, რაც სატელეფონო კომპანიამ დაადასტურა. მიუხედავად ამისა, მკვლელობის გამო ადგილობრივ მოსახლეობაში განგაში იყო ატეხილი. ისინი ითხოვდნენ საქმის დროულად გადაწყვეტას. პოლიციამ დოლორესი დაადანაშაულა.

სასამართლო განხილვაში მონაწილეობდნენ სახალხო მსაჯულები, რომელთა მონაწილეობითაც საქმეების განხილვა იმ დროისათვის ახალი დანერგული იყო. მანამდე მსაჯულებს რამდენიმე სკანდალურ საქმეზე უკვე ჰქონდათ ვერდიქტი გამოტანილი. მრავალი ფაქტობრივი გარემოება

აბათილებდა დოლორესის მიმართ ბრალდებას, მაგრამ ბრალდების მხარე დაჟინებით ამახვილებდა ყურადღებას დოლორესისა და გარდაცვლილის დედას შორის არსებულ არატრადიციულ ურთიერთობებზე. მოსამართლე არ ერეოდა, რათა შეეჩერებინა ამგვარი არაჯეროვანი ქმედება. და ბოლოს, ვერდიქტმა სიტყვასიტყვით გაიმეორა პროკურორის მოსაზრება და დოლორესი დამნაშავედ მიიჩნიეს როსიოს მკვლელობაში. ეს მოვლენები განვითარდა იმ პირობებში, როცა მედია საქმეში მონაწილე პიროვნებებისა და ამ მკვლელობის მიმართ გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენდა.

დოლორესმა საქმე გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში, სადაც სასამართლომ განაცხადი მიიღო და დაადგინა, რომ საქმის მასალები უნდა გადასინჯულიყო.

ვიდრე ბრალდებული ციხეში იმყოფებოდა და სასჯელს იხდიდა, 2003 წლის აგვისტოში მოხდა მსგავსი მკვლელობა – 17 წლის სონია კარაბანტესი გაუჩინარდა. გამოძიებისას პოლიციამ აღმოაჩინა იგივე დნმ, რაც ფიგურირებდა როსიოს საქმეში, მაგრამ ვის ეკუთვნოდა ეს დნმ – უცნობი იყო. ერთ-ერთმა ქალბატონმა პოლიციას მალევე შეატყობინა, რომ მას ეჭვი ჰქონდა თავის ყოფილ ქმარზე და როგორც კი პოლიციამ იგი დაკითხა, მალევე დადასტურდა, რომ აღნიშნული დნმ ეკუთვნოდა ამ პიროვნებას. მისი სახელი იყო ტონი ალექსანდერ კინგი, ინგლისელი ექსპატრიატი, რომელიც მეუღლესა და ქალიშვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა სამხრეთ ესპანეთში. აღმოჩნდა, რომ მას ჰქონდა „მდიდარი“ კრიმინალური წარსული და სასჯელსაც იხდიდა ინგლისში სექსუალური დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგ მან შეიცვალა სახელი და დასახლდა ესპანეთში.

დოლორესის საქმის განხილვა ჯერ შეჩერდა, ხოლო შემდეგ საბოლოოდ შეწყდა. ის 17-თვიანი პატიმრობიდან გათავისუფლდა. 2005 წელს ტონი ალექსანდერ კინგს მიესაჯა 36-წლიანი პატიმრობა სონია კარაბანტესის მკვლელობისათვის. 2006 წელს ის დამნაშავედ ცნეს როსიო ვანინჰოვის მკვლელობაშიც და მიუსაჯეს 19 წლით პატიმრობა.

გერმანია

გერმანიის მთავრობამ მსაჯულთა სასამართლო გააუქმა 1924 წლის 4 იანვარს, რადგან მათ მიერ გამოტანილი ვერდიქტი არ აღიქვებოდა დასაბუთებულად და სამართლიანად. საქმეთა განხილვის მზარდი კომპლექსურობის გამო, მსაჯულთა საქმიანობაში შეინიშნებოდა შეცდომების დაშვების ტენდენცია. ასევე, მათ უფრო და უფრო მეტ საქმეზე დაიწვეს გამამართლებელი განაჩენების გამოტანა. მიუხედავად ამისა, გერმანული სამართლებრივი სისტემა საშუალებას იძლევა პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად საქმეს სასამართლოში იზილავდნენ არაპროფესიონალი მოსამართლეები. ასეთ არაპროფესიონალ მოსამართლეს ჰქვია „შეფენი“ („schöffe“). ამგვარი სასამართლოები ყოველთვის შედგება სამი ან სამზე მეტი მოსამართლისაგან. არაპროფესიონალ მოსამართლეებს აქვთ ისეთივე უფლებები და ვალდებულებები, როგორითაც აღჭურვილი არიან პროფესიონალი მოსამართლეები.



გერმანიის პარლამენტის შენობა

შეფენების არჩევა ხდება კანდიდატთა საერთო სიიდან, რომელთაგან საქმის განმხილველი მოსამართლე შეარჩევს მთავარ და სათადარიგო შეფენებს. შეფენი შეიძლება იყოს 25-დან 70 წლამდე გერმანელი. არსებობს გარკვეული შეზღუდვები, განსაზღვრულია, თუ ვის არა აქვს უფლება, გახდეს შეფენი. ასეთია: მთავრობის ხელმძღვანელი პირები, მოსამართლე, პროკურატურისა და სასამართლოს თანამშრომლები, ნოტარიუსი, ადვოკატი, სასულიერო პირი.

ნორვეგია

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩანასახი ნორვეგიაში პირველად გაჩნდა ჩვენი წელთაღრიცხვის 800 წელს. თავისუფალი ხალხის ყოველთვიური შეკრება თითოეულ ოლქში ასრულებდა როგორც საკანონმდებლო, ასევე - დავების გადაწყვეტის ფუნქციასაც. 1814 წელს, როდესაც ნორვეგია დანიას გამოეყო და დამოუკიდებლობა მოიპოვა, არსებობდა გარკვეული მცდელობა, რომ დებულებები ნაფიც მსაჯულთა შესახებ შესულიყო ახალ კონსტიტუციაში, მაგრამ საბოლოოდ ამაზე უარი თქვეს. მიუხედავად ამისა, კონტინენტურ ევროპაში ნაფიც მსაჯულთა მიმართ ინტერესის ზრდის გამო, ეს იდეა დავიწყებას არ მისცემია. ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სისტემების შესწავლაზე დაყრდნობით ნორვეგიაში იზილავდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საკითხს.



ნორვეგიის უზენაესი სასამართლოს შენობა

ნორვეგიაში მსაჯულთა ინსტიტუტი დაინერგა 1887 წელს, როდესაც ამოქმედდა პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამ კანონს ზოგადად ეწოდა „ნაფიც მსაჯულთა კანონი“, მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვა მნიშვნელოვან ელემენტებსაც შეიცავდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პირველი ინსტანციით მოქმედებდა მხოლოდ ყველაზე

მძიმე კატეგორიის დანაშაულებისათვის და მათი განხილვა ხდებოდა ცალკე სასამართლოებში. ამ საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა სავალდებულო იყო. გადაწყვეტილება საჩივრდებოდა არა არსებითად, არამედ – მხოლოდ იურიდიულ საკითხებზე და კანონის დარღვევებთან დაკავშირებით. რაც შეეხება შერეული სასამართლოების მიერ განხილულ საქმეებს, როგორც გამამართლებელი, ასევე გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლებოდა სააპელაციო წესით გასაჩივრებულიყო. ასეთ საქმეებს იხილავდა ნაფიც მსაჯულთა იგივე სასამართლო, რომელიც პირველი ინსტანციით განიხილავდა მძიმე დანაშაულებს. 1995 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამოქმედდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვას. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბრალდებული თავს ცნობს დამნაშავედ, საქმეს განიხილავს და გადაწყვეტს სასამართლო კოლეგია, რომელშიც უმრავლესობას მსაჯულები შეადგენენ. მათ კენჭისყრისას აქვთ იგივე უფლებები, რაც – პროფესიონალ მოსამართლეებს.

თუ საქმე დასაშვებია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვისათვის სააპელაციო ინსტანციაში და ამ შემთხვევაში აპელაცია საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ეხება, მაშინ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სავალდებულოა. ჩადენილი დანაშაული უნდა ისჯებოდეს თავისუფლების აღკვეთით 6 წელზე მეტი ვადით.



სხდომათა დარბაზი

მხედველობაში მიიღება ის სასჯელი, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით და არა – სასჯელი, რასაც პროკურორი მოითხოვს, ან ის, რაც დააკისრა პირველი ინსტანციის სასამართლომ.

ნაფიც მსაჯულთა განსჯადობა ასევე ვრცელდება არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზეც, თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაკისრებული და პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი აღმატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობიდან გამოირიცხება ის დანაშაულები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარს განიხილავს შერეული სასამართლო სამი პროფესიონალი მოსამართლისა და ოთხი მსაჯულის მონაწილეობით. ნორვეგიაში ნაფიც მსაჯულთა პროცესების უმეტესი ნაწილი მოიცავს მძიმე ნარკოტიკულ დანაშაულებს, მათ შორის – ქონების შეძენას ნარკოვაჭრობიდან მიღებული შემოსავლებით; ბავშვების მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობას; გაუპატიურებებს; მკვლევლობებს; დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ყაჩაღობებს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო საჩივარი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ეხება, ე.ი. დაკავშირებულია პირის ბრალეულობასთან მიმართულ მტკიცებულებებთან. თუ საჩივარი შეიზღუდება სამართლებრივი საკითხებით, საპროცესო აქტებით ან დაკისრებული სასჯელით, მაშინ მას განიხილავს შერეული სასამართლო.

ფორმალურად ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არ საჩივრდება, თუმცა სამ პროფესიონალ მოსამართლეს შეუძლია, გააუქმოს ვერდიქტი და პროცესის შედეგები. ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი შეიძლება გასაჩივრდეს უზენაეს სასამართლოში საპროცესო, ან მატერიალურ-სამართლებრივი შეცდომების კუთხით. თუ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი გამამართლებელია, მისი გაუქმება შეუძლია სამ მოსამართლეს, რომლებიც ერთსულოვნად მიიჩნევენ, რომ განსასჯელი ეჭვს გარეშე დამნაშავეა. ეს უფლება დისკრეციულია. მათ შეუძლიათ, ბრალეულობის შესახებ საკუთარი აზრის მიუხედავად, დაეთანხმონ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ. თუ ვერდიქტი გამამართლებელია, მაშინ მათ ხმების უმრავლესობით შეუძლიათ გააუქმონ ვერდიქტი. ამის წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს მათი მოსაზრება სისხლისსამართლებრივი დევ-

ნის ხანდაზმულობის გასვლის, ან ბრალეულობის დამადასტურებელი არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის შესახებ.

ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში (გარდა იმ შემთხვევისა, როცა პროკურატურა თავად ამბობს უარს ბრალდებაზე) საქმეს ხელახლა იხილავს შერეული სასამართლო სამი მოსამართლისა და ოთხი მსაჯულის შემადგენლობით.

უზენაეს სასამართლოში საქმე შეიძლება გასაჩივრდეს კანონის არასწორი გამოყენების მოტივით, რაც სხდომის თავმჯდომარის არასწორ მითითებებს ეფუძნება. აპელაცია ასევე შეიძლება დაემყაროს საპროცესო შეცდომებს, მათ შორის – ისეთს, რაც უკავშირდება ნაფიც მსაჯულთა კორპუსის შექმნას, ან მსაჯულების ქცევას. მაგალითად, თუ ერთ მსაჯულს მისცეს დისკვალიფიკაცია, მაშინ ეს ავტომატურად გამოიწვევს პროცესის შედეგების გაუქმებას. სხვა შემთხვევაში პროცესუალური დარღვევები მხედველობაში მიიღება, თუ მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ განაჩენის არსზე.

ნაფიც მსაჯულთა პროცესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნორვეგიის სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემის განვითარებაში, თუმცა მას მკაცრად აკრიტიკებენ. უფრო ხშირად მოსამართლეები, პროკურორები და მსაჯულების დიდი ნაწილი ქმნის საზოგადოების იმ ფენას, რომელიც ნაფიც მსაჯულთა პროცესს აკრიტიკებს. ყველაზე უფრო მეტად ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მხარს უჭერენ ადვოკატები. რაც შეეხება კანონმდებლებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ნაფიც მსაჯულთა პროცესი მათთვის უფრო დემოკრატიული ინსტიტუტია, ვიდრე - შერეული სასამართლო.

საბერძნეთი

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ქვეყანაში, სადაც წარმოიშვა მსაჯულთა სასამართლო, დღეისათვის მოქმედებს საქმეთა განხილვის განსხვავებული ფორმა, კერძოდ, სერიოზულ სისხლის სამართლის საქმეებს იხილავს სამი პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია ოთხი მსაჯულის მონაწილეობით, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ ფაქტების შეფასებისა და სასჯელის (თუკი ასეთი დადგინდება) განსაზღვრის თაობაზე.

ავსტრია

ავსტრიაში, ისევე როგორც ევროპის სხვა სახელმწიფოებში, სადაც მსგავსი სამოქალაქო სამართლის სისტემა მოქმედებს, შენარჩუნებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ელემენტები სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის საქმეთა განხილვისას.

შვეიცარია

შვეიცარიაში 2010 წლისთვის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სრულად მხოლოდ ჟენევის კანტონაში მოქმედებს. სხვა დანარჩენ კანტონებში, როგორიცაა – ვო (Vaud), ნეუშატელი (Neuchâtel), ციურიხი (Zürich) და ტიჩინო (Ticino) – საქმეებს განიხილავენ პროფესიონალი და არა-პროფესიონალი მოსამართლეებისაგან შემდგარი სასამართლოები. შვეიცარიის გაერთიანებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს 2011 წელს, მსაჯულთა ინსტიტუტი გაუქმდება.

ბელგია

ბელგიის კონსტიტუციით ყველა მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმე უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, ისეთი საქმეები, რომლებიც ეხება ცილისწამებას, პრესის დანაშაულს, შესაძლებელია, განიხილოს მხოლოდ მსაჯულთა სასამართლომ, გარდა რასისტული ხასიათის დანაშაულისა.



ასე გამოიყურებოდნენ ბელგიაში მსაჯულები სასამართლო
სხდომის მიმდინარეობისას

12 ნაფიცი მსაჯული ხმათა უმრავლესობით წყვეტს, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული. ხმათა თანაბარი რაოდენობა ნიშნავს, რომ პირი არ არის დამნაშავე; როდესაც 7 მსაჯული აცხადებს ბრალდებულს დამნაშავედ, ხოლო 5 მსაჯული – უდანაშაულოდ, ასეთ შემთხვევაში საკითხი გადასაწყვეტად გადაეცემა 3 პროფესიონალ მოსამართლეს. მათ შეუძლიათ ერთხმად დაუჭირონ მხარი უდანაშაულობის ვერდიქტს და მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულთა უმრავლესობა (7 მსაჯული) თვლის, რომ პირი დამნაშავეა, საბოლოო ვერდიქტმა ბრალდებული ცნოს უდანაშაულოდ. განაჩენი მიიღება 12 მსაჯულისა და 3 პროფესიონალი მოსამართლის ხმათა უმრავლესობით.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯულები არ ასაბუთებენ თავიანთ ვერდიქტს, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთი კონკრეტული საქმის განხილვისას მიიჩნია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად. ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ თექსეთის საქმის განხილვისას.²¹ საქმე ეხებოდა ბელგიის მოქალაქე რიჩარდ თექსეთს, რომელსაც ბრალად ედებოდა სახელმწიფო მინისტრისა და მისი თანამემწის მკვლელობის მცდელობა. საქმეს იხილავდა ლიეჟის მსაჯულთა, იგივე ასიზების სასამართლო. ბრალდება ძირითადად ეყრდნობოდა ანონიმი მოწმის ჩვენებას, რომლის დაკითხვაში მონაწილეობის უფლება არც ერთხელ არ მიეცა ბრალდებულს. მსაჯულთა სასამართლომ თექსეთი და მასთან ერთად რამდენიმე ეჭვმიტანილი დამნაშავედ ცნო და 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სტრასბურგის სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა უშუალოდ უკავშირდება სასამართლოს სამართლიანობას და იცავს ინდივიდებს მიკერძოებულობისაგან. „შესაბამისად, სასამართლოებმა და ტრიბუნალებმა თავიანთი გადაწყვეტილებები უნდა დაასაბუთონ. აღნიშნული მოვალეობის მოცულობა დამოკიდებულია უშუალოდ გადაწყვეტილებაზე და განისაზღვრება ყოველი კონკრეტული საქმის მიხედვით. მართალია, კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოებს ავალდებულებს, დაასაბუთონ გადაწყვეტილებები, თუმცა იგი არ მოითხოვს ყოველი კონკრეტული არგუმენტის დეტალურ დასაბუთებას. ეს არ გულისხმობს იმას, რომ საერთო ჯამში გადაწყვეტილება იყოს დაუსაბუთებელი,“ – აღნიშნულია ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით კი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, რადგან ნაფიც მსაჯულს თავისი მოსაზრების გამოხატვა შეუძლია მხოლოდ „დიახ ან არა“ პასუხით, მოსამართლის კითხვები უნდა იყოს ამომწურავი და დეტალური, რადგანაც აღნიშნული კითხვები და მათზე გაცემული პასუხები წარმოადგენს გადაწყვეტილების საფუძველს. საქმის განხილვისას ევროსასამართლომ ასევე იმსჯელა

21. იხილეთ: საქმე თექსეთი ბელგიის წინააღმდეგ - *Case of Taxquet v. Belgium; Application no. 926/05; 13 January 2009.*

ისეთ საკითხზე, როდესაც ერთსა და იმავე საქმეზე არის რამდენიმე ბრალდებული. ამ მხრივ სასამართლომ აღნიშნა, რომ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უზრუნველსაყოფად, ნაფიც მსაჯულებს ყოველ კონკრეტულ ბრალდებულთან დაკავშირებით ცალ-ცალკე უნდა დაესვათ კითხვები. ამასთან, ეს კითხვები არ უნდა იყოს აბსოლუტურად იდენტური, ისინი უნდა ითვალისწინებდეს ცალკეულ ბრალდებულთან დაკავშირებულ გარემოებებს. „ამ კონკრეტულ საქმეში ნაფიც მსაჯულებს დაუსვეს ისეთი კითხვები, რომლებიდანაც შეუძლებელი იყო ლოგიკური დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, თუ რატომ ჩათვალეს მათ განმცხადებელი დამნაშავედ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ლაკონიური პასუხები ისეთ ბუნდოვან და ზოგად კითხვებზე, როგორიც აღნიშნულ საქმეში დაუსვეს ნაფიც მსაჯულებს, არ უზრუნველყოფდა მათი გადაწყვეტილების დასაბუთებულობას. შესაბამისად, ზედა ინსტანციის სასამართლოს აღარ შეეძლო, ეფექტურად განეხილა საჩივარი და დაედგინა არათანმიმდევრულობა დასაბუთებაში,” – ნათქვამია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საქმის განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. იმავე საქმეზე განმცხადებელი ასევე დაობდა, რომ მან ვერ შეძლო, დაეკითხა ბრალდების ანონიმური მოწმე, რომლის ჩვენებამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა მის მსჯავრდებაში. განმცხადებლის მტკიცებით, ამ ნაწილშიც მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ანონიმური მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არ იყო გადამწყვეტი განმცხადებლის მსჯავრდებისათვის. მით უმეტეს, რომ განმცხადებლის ბრალეულობაზე ასევე მიუთითა საქმესთან დაკავშირებულმა ერთ-ერთმა ბრალდებულმაც. „მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი წარმოადგენს სახელმწიფოს ეროვნული სამართლის მოწესრიგების საგანს და სასამართლოთა კომპეტენციას განეკუთვნება მის წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფასება. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ ევალება, განსაზღვროს ის ფაქტი, თუ რამდენად უნდა დაეშვა სასამართლოს ანონიმური მოწმის ჩვენება - როგორც მტკიცებულება, არამედ

სასამართლოს უნდა ემსჯელა იმაზე, იყო თუ არა სასამართლო პროცესი მთლიანობაში - მტკიცებულების დაშვების ჩათვლით - სამართლიანი,” - განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა იმაზეც, რომ ფაქტებიდან არ ირკვეოდა, რაზე იყო დაფუძნებული განმცხადებლის მსჯავრდება: ობიექტურ მტკიცებულებებზე, ერთ-ერთი ბრალდებულის ჩვენებასა, თუ ანონიმური მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე, მან დაადგინა, რომ სასამართლო განხილვის პროცედურა ზღუდავდა ბრალდებულის უფლებებს. შესაბამისად, სასამართლომ ამ კუთხითაც დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-ნ მუხლის დარღვევა. „ყოველივე შემთქმულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლო განაჩენის დასაბუთებულობა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-ნ მუხლით. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობა არ გამორიცხავს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას. პირიქით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობის შემთხვევაშიც აუცილებელია განაჩენის დასაბუთება იმისათვის, რომ არ დაირღვეს მე-ნ მუხლი. ასეთ შემთხვევებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განაჩენის დასაბუთებულობას საზღვრავს მოსამართლის მიერ ნაფიცი მსაჯულებისთვის დასმული კითხვების საფუძველზე. ეს კითხვები უნდა იყოს მაქსიმალურად ნათელი, დეტალური, ამომწურავი და არავითარ შემთხვევაში - ზოგადი და ბუნდოვანი,” - ასეთია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნა საქმეზე თექსეთი ბელგიის წინააღმდეგ, რაც პრეცედენტის სახით უნდა გაითვალისწინოს ყველა იმ ქვეყანამ, რომელიც აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

ინდოეთი

ინდოეთის მთავრობამ მსაჯულთა სასამართლო გააუქმა 1960 წელს იმ მოტივით, რომ მათზე ზეგავლენას ახდენდა მედია და საზოგადოებრივი აზრი. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მსაჯულების მიერ ერთ-ერთი გახმაურებული საქმის განხილვის შემდეგ. ეს იყო საქმე – **კ. მ. ნანავატი მაჰარაშტრას შტატის წინააღმდეგ**,²² რომელზეც 8 მსაჯულმა ერთის წინააღმდეგ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, თუმცა ზემდგომმა სასამართლოებმა საქმე კვლავ დააბრუნეს განსახილველად.



სასამართლოს შენობა ბომბეში, სადაც გაიმართა ბოლო სასამართლო სხდომა მსაჯულთა მონაწილეობით კავას ნანავატის საქმეზე.

1959 წელს კავას მანეკშაუ ნანავატი უნდა გაესამართლებინათ მისი მეუღლის სილვიას საყვარლის პრემ აჰუჯას მკვლელობის გამო. ამ დანაშაულმა შოკში ჩააგდო ერი, ხოლო მედიამ უპრეცედენტოდ ფართოდ გააშუქა იგი. დაიწერა სხვადასხვა წიგნი და გადაიღეს რამდენიმე ფილმი. ეს იყო მსაჯულთა სასამართლოს მიერ უკანასკნელად განხილული საქმე ინდოეთში. საქმეში მთავარ საკითხად მიიჩნეოდა გარკვეულიყო, შემთხვევით მოხდა გასროლა თოფიდან, თუ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა.

ზემოაღნიშნული სცენარის თანახმად, ნანავატი უნდა გასამართლებულიყო ინდოეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით – არაგანზრახი

22. იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/KM_Nanavati_v_State_of_Maharashtra

მკვლელობის გამო, რისთვისაც სასჯელის მაქსიმუმი იყო 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ ის გასამართლდა მკვლელობისათვის, რისთვისაც გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, ან სამუდამო პატიმრობა. ნანავატიმ განაცხადა, რომ ის არ იყო დამნაშავე. მისი დაცვის გუნდი დაობდა, რომ ეს იყო არაგანზრახი მკვლელობა და არა - წინასწარ დაგეგმილი განზრახ მკვლელობა.

კავას ნანავატი, რომელსაც
ბრალად ედებოდა
თავისი მეუღლის, ალისა
ნანავატის
მეგობრის მკვლელობა.



ალისა ნანავატი

ბომბების სასამართლოს დიდ სხდომაზე მსაჯულებმა ნანავატი უდანაშაულოდ ცნეს 8 ხმით ერთის წინააღმდეგ. სხდომის თავმჯდომარე მოსამართლემ ვერდიქტი მიიჩნია არასწორად და საქმე გადაუგზავნა უმაღლეს სასამართლოს. პროკურორი დაობდა, რომ მსაჯულები თავმჯდომარე მოსამართლემ შეცდომაში შეიყვანა 4 ძირითად საკითხზე: **პირველი** – მტკიცების ტვირთი ეკუთვნოდა ნანავატის იმაზე, რომ ეს იყო არაგანზრახი და არა – გამიზნული მკვლელობა; **მეორე** – იყო თუ არა სილვიას (ბრალდებულის მეუღლე) აღიარება დამამძიმებელი პროვოკაცია ნანავატისათვის, ან მოხდა თუ არა რაიმე განსაკუთრებული ინციდენტი აჭუჯას საძინებელში, თუ – ორივე ერთად; **მესამე** – მოსამართლემ არასწორად უთხრა მსაჯულებს იმის თაობაზე, რომ პროვოკაცია შესაძლოა, მომდინარეობდა მესამე პირისგან და **მეოთხე** – მსაჯულებს არ მიეთითათ, რომ ნანავატის დაცვას უნდა დაემტკიცებინა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, რომ არ არსებობდა გონივრული ეჭვი საღად მოაზროვნე ადამიანის გონებაში. სასამართლომ მიიღო ეს არგუმენტები, უარყო მსაჯულთა ვერდიქტი და საქმის განხილვა ხელახლა დაიწყო უმაღლეს სასამართლოში. ვინაიდან მსაჯულები ასევე იყვნენ ჩართულნი მედიისა და საზოგადოების მხრივ ნანავატის მიმართ გამოხატულ მხარდაჭერაში და აშკარა იყო, რომ შეცდომას დაუშვებდნენ, ინდოეთის მთავრობამ ამ საქმის განხილვის შემდეგ გააუქმა ნაფიცი მსაჯულების სასამართლო.

იაპონიაში მსაჯულთა ინსტიტუტი პირველად შემოიღეს 1923 წელს პრემიერ-მინისტრის კატო ტომოსაბუროს ინიციატივით. მაშინ ამ ინსტიტუტს ხშირად არ იყენებდნენ. იმ პერიოდში, როდესაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არ გამოიყენებოდა, საბოლოო ვერდიქტი გამოჰქონდა მოსამართლეს. 2004 წლის მაისში შემოიღეს კანონები ისეთი სისტემის დასანერგად, რომელიც საერთო სამართლის ქვეყნებში არსებული მსაჯულთა სისტემის მსგავსი იქნებოდა. ეს კანონმდებლობა ამოქმედდა 2009 წლის მაისში.

მრავალ საკითხში ახალი სისტემა ძალიან განსხვავებულია საერთო სამართლის მსაჯულთა სისტემისაგან. ეს არის არა საერთო სამართლის წარმომადგენლობითი სისტემის მსაჯული, არამედ – სამოქალაქო სამართლის ქვეყნების ინკვიზიტორული სისტემის „მოსამართლის“ (ან ნაფიცი მსაჯულის) მსგავსი, როგორც ეს კონტინენტური სამართლის ქვეყნებში გვხვდება. საერთო სამართლის წარმომადგენლობით სისტემაში მოსამართლე ასრულებს არბიტრის როლს დაცვისა და ბრალდების მხარეებს შორის, სადაც ორივე მხარე საქმეს ასაჩივრებს მსაჯულთა საბჭოს წინაშე. მოსამართლე ამგვარ სისტემაში უმეტესად იმყოფება სასამართლოში მიმდინარე პროცედურის ზედამხედველის როლში. სამოქალაქო სამართლის ინკვიზიტორულ სისტემაში მოსამართლეთა შემადგენლობა წარმართავს დანაშაულის საჯარო გამოძიებას სასამართლოს მსვლელობისას და გამოაქვს ვერდიქტი და განაჩენი იმ პირთა მიმართ, რომლებიც დამნაშავედ ცნო სასამართლომ. ამ მიზეზთა გამო, შემადგენლობის ყოველ წევრს შეუძლია, წარმართოს მტკიცებულებების გამოკვლევა, მოწმის დაკითხვა და ხმათა უმრავლესობით გამოიტანოს ვერდიქტი და განსაზღვროს სასჯელი. იაპონური სისტემა ამ მხრივ განსაკუთრებულია. შემადგენლობაშია ექვსი ნაფიცი მსაჯული, რომლებიც საზოგადოებიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით არიან შერჩეული და ასევე – სამი პროფესიონალი მოსამართლე.



იაპონიის უზენაესი სასამართლოს შენობა

ვერდიქტის გამოსატანად საჭიროა მოსამართლეთა რიცხოვრები უმრავლესობა, ისევე როგორც ერთი პროფესიონალი მოსამართლე მაინც უნდა უჭერდეს მხარს უმრავლესობის ვერდიქტს. მიუხედავად ამისა, სამ პროფესიონალ მოსამართლეს კოლექტიურად შეუძლია ვეტო დაადოს უმრავლესობის, ანუ ნაფიცი მსაჯულების მიერ გამოტანილ ვერდიქტს. იუსტიციის სამინისტრო განსაკუთრებით ერიდება „მსაჯულის“ ტერმინის გამოყენებას და იყენებს ტერმინს „არაპროფესიონალი მოსამართლე“ („lay judge“). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამჟამინდელი სისტემა ცალსახად არ არის ნაფიც მსაჯულთა სისტემა.

2004 წლის 28 მაისს იაპონიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც შერჩეულ მოქალაქეებს მოეთხოვებოდათ, როგორც მსაჯულებს, მონაწილეობა მიეღოთ მძიმე სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლო სხდომაში. ამ სამსახურისათვის შერჩეულ მოქალაქეებს ეწოდებოდათ „არაპროფესიონალი მოსამართლეები“ („lay judge“), ანუ „saiban-in“-ები. ისინი შეირჩევიან საარჩევნო სიებიდან შემთხვევითი შერჩევის

პრინციპით და სამ პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად წყვეტენ ბრალეულობისა და სასჯელის საკითხებს. იმ საქმეებზე, რომლებზეც არ მიმდინარეობს არსებითი დავა ბრალეულობის შესახებ, სასამართლო შემაღგენლობა შედგება 4 არაპროფესიონალი და ერთი პროფესიონალი მოსამართლისაგან. მსაჯულთა ძველი სისტემისაგან განსხვავებით, დასაჯავ პირებს არა აქვთ უფლება, უარი თქვან არაპროფესიონალი მოსამართლეების მიერ საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. არაპროფესიონალი მოსამართლის სისტემა შემოიღეს 2009 წლის მაისში.

პირველი სასამართლო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ არაპროფესიონალი მოსამართლეები

2009 წლის 3 აგვისტოს ექვსი იაპონელი მოქალაქე, როგორც არაპროფესიონალი მოსამართლე, შეირჩა სასამართლო განხილვაში მონაწილეობის მისაღებად 3 პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად. ეს იყო პირველი საქმე, რომელიც მსაჯულების მონაწილეობით უნდა განხილულიყო. 72 წლის კაცუიოში ფუჯი დააკავეს 66 წლის მეზობელი ქალბატონის მკვლელობის გამო (მან სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა ბასრი, მახვილი საგნით). ფუჯიმ ბრალეულობა აღიარა. მსაჯულებმა ის დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს 15 წლით პატიმრობა. სხდომა მიმდინარეობდა ტოკიოს რაიონულ სასამართლოში.

შერჩევის პროცედურის თანახმად, არაპროფესიონალი მოსამართლე 20 წელზე მეტის უნდა იყოს და ირიცხებოდეს საარჩევნო სიაში. მას ასევე დამთავრებული უნდა ჰქონდეს საშუალო სკოლა. შემაღგენლობის უმრავლესობამ შეიძლება მიიღოს უდანაშაულობის ვერდიქტი. მიუხედავად ამისა, არაპროფესიონალი მოსამართლეების მიერ გამოტანილ ვერდიქტს ერთი პროფესიონალი მოსამართლე მაინც უნდა ეთანხმებოდეს. არაპროფესიონალ მოსამართლეს შეუძლია, პირდაპირ დაკითხოს დასაცავი პირი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და გადაწყვიტოს სასჯელის სახე, რომელიც ვერდიქტს თან ახლავს. სხდომა საჯარო იყო მედია საშუალებებისთვისაც.



შეხვედრა იაპონელ მსაჯულებთან ტოკიოს რაიონულ სასამართლოში, რომელიც კაცუიოში ფუჯის საქმის განხილვის შემდეგ გაიმართა.

წინა სისტემა აგებული იყო მხოლოდ პროფესიონალ მოსამართლეთა შემადგენლობაზე დაყრდნობით და საქმეთა უმრავლესობაში, რომელიც ბრალდების მხარის მიერ იყო წარდგენილი სასამართლოში, ბრალეულობა მაღალი ალბათობით იყო გამოკვეთილი. მოქალაქეები, რომლებიც შეირჩევიან სხდომებში მონაწილეობის მისაღებად და უარს განაცხადებენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, დაჯარიმდებიან 100.000 იენით. იაპონიაში ჩატარებულმა გამოკითხვებმა, სხვა ქვეყნების მსგავსად, სადაც განვითარებულია მსაჯულთა სისტემა, აჩვენა, რომ მოსახლეობის 70% იბულებით ასრულებს მსაჯულის ფუნქციას.

ბრაზილია

ბრაზილიის კონსტიტუციით წინასწარი განზრახვით ჩადენილ დანაშაულს, მკვლელობას ან მკვლელობის მცდელობას, აბორტს, ჩვილთა მკვლელობასა და თვითმკვლელობისკენ პროვოცირებას (მოწოდებას) განიხილავს მსაჯულთა სასამართლო. შვიდი მსაჯული ფარული კენჭისყრით წყვეტს, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

რუსეთი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში 1864 წელს ამოქმედდა, როდესაც რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ხელი მოაწერა მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას. სასამართლო რეორგანიზაციის გარდა, ამავე რეფორმის ფარგლებში დაიხვეწა პროკურატურა, ადვოკატურა, სასამართლო გამოძიებლის ინსტიტუტი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგებოდა ორი ელემენტისაგან: I. პროფესიონალური ელემენტი – მოსამართლეთა სამკაცოანი კოლეგია და II. ნაფიც მსაჯულთა 12-კაციანი კოლეგია, რომელიც შედგებოდა გარკვეული კრიტერიუმებითა და დადგენილი პროცედურებით შერჩეული არაპროფესიონალი პირებისაგან, ისინი ფიცის დადების შემდეგ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.



სასამართლო განხილვა მსაჯულთა მონაწილეობით

სხდომას თავმჯდომარეობდა პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც არ მონაწილეობდა ფაქტის, ანუ დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში. სამაგიეროდ, იგი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე წვევებდა ყველა სამართლებრივ საკითხს – როგორც საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, ისე ნაფიც მსაჯულთა მიერ გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე სასჯელის დანიშვნისას. ნაფიც მსაჯულებს მოსამართლე უწევდა პერმანენტულ სამართლებრივ კონსულტაციას, ხოლო

სათათბიროდ გასვლის წინ მათ მიმართავდა სადამრიგებლო სიტყვით. მსაჯულები თავიანთი რიგებიდან ირჩევდნენ ხელმძღვანელს. ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი ვერდიქტის საფუძველზე მოსამართლის მიერ დადგენილი განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ საკასაციო წესით უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში – სენატში.




სხდომათა დარბაზი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები თავიდან მეტ-ნაკლები წარმატებით შეუდგნენ საქმიანობას რუსეთში და საკმაო ავტორიტეტიც მოიხვეჭეს როგორც უბრალო ხალხში, ისე პროგრესულ ინტელიგენციაში. ამის მიზეზი იყო გამამართლებელ განაჩენთა გამოტანის, განსასჯელთა მიმართ მანამდე არნახული გულმოწყალებისა და ჰუმანურობის გამომჟღავნების არაიშვიათი ფაქტები. ცნობილი რუსი იურისტი და საზოგადო მოღვაწე ანატოლი კონი,²³ რომელიც ცნობილი იყო ასევე თავისი ორატორული გამოსვლებით სასამართლო სხდომებზე, აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას. იგი განსაკუთრებით ცნობილი გახდა ვერა ზასულიჩის²⁴ საქმით. კონი თავმჯდომარეობდა

23. ა. კონი (1844-1927 წლები) – გამოჩენილი რუსი იურისტი, ეწეოდა სამეცნიერო და საადვოკატო საქმიანობას, იყო უდიდესი ორატორი.

24. ვერა ზასულიჩი (1849-1919 წლებში) – რუსი რევოლუციონერი, ნაროდნიკული და სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი; მონაწილეობდა ტერორისტული აქტების მოწყობაში.

სოციალისტის, ნაროდნიკული მოძრაობის წევრისა და ტერორისტის – ვერა ზასულიჩის სასამართლოს. მას ბრალი ედებადა პეტერბურგის ქალაქისთავის, გენერალ ფ. ტრეპოვის მკვლელობის მცდელობაში. 1878 წლის იანვარში იგი თავს დაესხა გენერალს და პისტოლეტიდან რამდენიმე გასროლით შეეცადა მის მოკვლას. თავდასხმის მიზეზი გახდა გენერალ ტრეპოვის ბრძანება, რომლითაც ზასულიჩის ციხეში მყოფი რევოლუციონერი მეგობარი ა. ემელიანოვი ფიზიკურად უნდა დაესაჯათ, რადგან საკანში მყოფმა არ მოისურვა ტრეპოვს მისალმებოდა და ქუდი მოეხადა. თავდასხმის შედეგად გენერალი ტრეპოვი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს გადარჩა. 1878 წლის 31 მარტს მსაჯულთა სასამართლომ ზასულიჩი სრულად გაამართლა. მიუხედავად უდიდესი პოლიტიკური ზეწოლისა, რომელიც ამ საქმის გამო განხორციელდა სასამართლოზე, მსაჯულთა გამამართლებელ ვერდიქტზე საკმარისი ზეგავლენა მოახდინა სასამართლო სხდომის თავჯდომარის – ანატოლი კონისა და ბრალდებულის დამცველის პოზიციამ. ამას მოჰყვა უდიდესი რეზონანსი რუსეთსა თუ საზღვარგარეთ. ლიბერალურმა საზოგადოებამ ეს ფაქტი უაღრესად დადებითად შეაფასა. უნდა აღინიშნოს, რომ ზასულიჩის გამართლებამ ანალოგიურ დანაშაულებრივ ქმედებებს გაუწია პროვოცირება.



ანატოლი კონი

ამგვარ შედეგს მეფის ხელისუფლების მძაფრი რეაქცია მოჰყვა, მით უმეტეს, რომ რევოლუციური გამოსვლები თანდათან გახშირდა. შესაბამისად, ხელისუფლება გადაჭრით დაადგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ყოველმხრივი შევიწროების გზას. მსაჯულები ვერ იღებდნენ ანაზღაურებას. როცა ცალკეულმა სათათბირო კრებამ სოფლებიდან ნაფიც მსაჯულებად მიწვეული გლეხებისათვის სადღელამისო თანხების გაცემა დაადგინა, ან ასეთის დადგენის სურვილი გამოთქვა, ხელისუ-

ფლებამ მათ ეს სასტიკად აუკრძალა. ქალაქში ნაფიც მსაჯულად მიწვეული სოფლელები მეტწილად შიმშილობდნენ – ლუკმა-პურის გარეშე იყვნენ დარჩენილი. ამის გამო ზოგი სოფელში მიდიოდა საკვების წამოსაღებად, ზოგი ტანსაცმელს აგირავებდა, სხვები კი ქალაქში დროებით დგებოდნენ მეეზოვედ, შეშის დამპობად, ან სხდომებს შორის შესვენებისას მათხოვრობითაც კი შოულობდნენ საკვების ფულს და ა. შ.

ბევრი სახელმწიფო მოხელე აქტიურად მოითხოვდა მსაჯულთა სასამართლოების გაუქმებას. მიუხედავად ზემოთქმულისა, ამ ინსტიტუტმა ბოლომდე გაუძლო თვითმპყრობელობის ტოტალურ ზეწოლას და იგი ფაქტობრივად მხოლოდ 1917 წელს, ქვეყანაში არსებულ სისტემასთან ერთად, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად გაუქმდა.

თითქმის 76-წლიანი ინტერვალის შემდეგ, 1993 წელს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რუსეთში დაბრუნდა და ექსპერიმენტის წესით დაინერგა ფედერაციის 5 სუბიექტში, 1994 წლის 1 იანვრიდან კი – კიდევ 4 სუბიექტში. ნაფიც მსაჯულთა სისტემის ხელახალი დანერგვა რუსეთში ჯერ კიდევ ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში მომწიფდა. სსრ კავშირის დაშლისა და რუსეთის ფედერაციის ცალკე სახელმწიფოდ ფორმირების შემდეგ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ამ ინსტიტუტის დაუყოვნებელი შემოღება რუსეთის მთელ ტერიტორიაზე საპროცესო და სხვა კანონმდებლობებში სათანადო ცვლილებების შეტანის გზით. ამის განხორციელება მოხერხდა მხოლოდ 2001 წლის 18 დეკემბერს მიღებული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეშვეობით, რომლის მიხედვითაც, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, გარდა ჩეჩნეთის რესპუბლიკისა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამოქმედდა 2004 წლის 1 იანვრიდან. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ერთი მოსამართლისა და 12 მსაჯულის მონაწილეობით განიხილავს სისხლის სამართლის რთული კატეგორიის საქმეებს, თუ ამას შუამდგომლობს ბრალდებული. ვერდიქტის გამოტანა ხდება შესაბამისი კითხვარის შევსებისას. მას შემდეგ, რაც მოისმენენ მოსამართლის სადამრიგებლო სიტყვას, ნაფიცი მსაჯულები დაუყოვნებლივ გადიან სათათბირო ოთახში.

სათათბიროდ გასვლისა და სასამართლო დარბაზში დაბრუნების დრო ზუსტად უნდა დაფიქსირდეს სხდომის ოქმში. თათბირის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ღამის საათებში, აგრეთვე - სხდომის თავმჯდომარის ნებართვით. თათბირის რაიმე ფორმით დაფიქსირება და ტრანსლირება აკრძალულია. ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ თათბირისა და განსაკუთრებით, კენჭისყრის გარემოებათა კომენტარი, ან სხვაგვარად მისი გახმაურება. კენჭისყრის შედეგად გამამტყუნებელი გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად გაიყო, გადაწყვეტილება განსასჯელის სასარგებლოდ გამოვა. კანონის თანახმად, ხმათა ამგვარ დათვლამდე ნაფიცი მსაჯულები სამი საათის განმავლობაში მაინც უნდა ეცადონ ერთსულოვანი ვერდიქტის მიღებას. თუ ეს ვერ მოხერხდება ამ დროში, შეუძლიათ ხმათა უმრავლესობით მიიღონ გადაწყვეტილება. აღნიშნული დროის დაუცველობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე მათ წინადადებას აძლევს, დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში თათბირის გასაგრძელებლად. თუ ეს გარემოება (იგულისხმება სამსაათიანი დროის დაუცველობა, რაც აუცილებელი მინიმუმია) შემდგომშიც გამოვლინდება, ეს წარმოადგენს საპროცესო კანონის არსებით დარღვევას და, შესაბამისად, იწვევს განაჩენისა და ვერდიქტის გაუქმებას.²⁵ გამამართლებელი ვერდიქტის შემთხვევაში, როგორც წესი, განსასჯელი პატიმრობისგან დაუყოვნებლივ თავისუფლდება. ნაფიცი მსაჯულების შესაძლო კანდიდატთა სიებს, როგორც წესი, ადგენენ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები. დგება ძირითადი და სათადარიგო სიები. პირველი წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებთაგან შედგენილ სიებს, ხოლო მეორეში შეჰყავთ მხოლოდ ის პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ცენტრში. კანდიდატები შეირჩევიან შემთხვევითი შერჩევის მეთოდით.

25. რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 20 დეკემბრის დადგენილების 22-ე პუნქტი.

საქართველო

2010 წლის ოქტომბრიდან საქართველოში ამოქმედდება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვაციაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა. ჩვენს საზოგადოებაში უდიდესი ინტერესით ელიან ამ ცვლილებას და, ბუნებრივია, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული ნებისმიერი ინფორმაცია საყურადღებოა.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობა

ახალი კოდექსის თანახმად, თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმეს განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო თანახმაა, რომ საქმე განხილულ იქნეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. თუ, დანაშაულის სიმძიმიდან ან ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ნაფიც მსაჯულთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სხვაგვარად არსებითად იქნეს ხელყოფილი მათი ხელშეუხებლობა, აგრეთვე, როდესაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარება არსებითად დაარღვევს ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს უფლებას, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქმის განხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს უზენა-

ესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით, საქმეს განიხილავს მოსამართლე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისა და 2 სათადარიგო მსაჯულისგან. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული – ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა სოციალურ გარანტიებს, ნაფიც მსაჯულსა და მსაჯულობის კანდიდატს უფლება აქვთ, დროულად მიიღონ სახელმწიფოსგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან. დღიური, სამეზავრო და სხვა პირდაპირი ხარჯების ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საჯარო მოსამსახურესა და სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ორგანიზაციაში დასაქმებულ პირს ნაფიც მსაჯულად სასამართლო პროცესში მონაწილეობის დროს უნარჩუნდებათ სამუშაო ადგილი და ანაზღაურება. სასამართლო ვალდებულია, ინდივიდუალურად გაითვალისწინოს ნაფიცი მსაჯულის კანონიერი ინტერესები.

ნაფიცი მსაჯულის მიმართ წაყენებული მოთხოვნების თანახმად, პირი უფლებამოსილია ნაფიც მსაჯულად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში, თუ: ა) საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეყვანილია ამომრჩეველთა ერთიან სიაში; ბ) იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა; გ) ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც შედის იმ სასამართლოს განსჯადობაში, სადაც მიმდინარეობს პროცესი; დ) შეზღუდული არა აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური შესაძლებლობები, რაც ხელს არ შეუშლის მის მიერ ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებას. ახალი კოდექსის თანახმად, არსებობს გარკვეული შეუთავსებლობები, რომელთა გამოც პირი ვერ მიიღებს სისხლის სამართლის პროცესში

მონაწილეობას ნაფიც მსაჯულად. ეს შეუთავსებლობაა, თუ იგი: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირია; გამომძიებელია; პოლიციელია; ირიცხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში; სასულიერო პირია; აღნიშნულ საქმეში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეა; ბრალდებულია; ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი; მისი მონაწილეობა ნაფიც მსაჯულად აღნიშნულ საქმეში აშკარად უსამართლო იქნებოდა ამ პირის მიერ გამოხატული მოსაზრებების ან პირადი გამოცდილების საფუძველზე; ფსიქოლოგია; ფსიქიატრია; იურისტია; ან/და არსებობს აცილების სხვა საფუძვლები, რაც ამ კოდექსითაა გათვალისწინებული.

პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობის შესრულებაზე: ა) თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული; ბ) თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს; გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო; დ) თუ ხანგრძლივად იმყოფება ან მიემგზავრება საქართველოს ფარგლებს გარეთ; ე) 70 წელს გადაცილებულია.



თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობა

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარე ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, თავის მიერვე განსაზღვრული ბიჯის გამოყენებით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას 50 პირის შემადგენლობით. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე, გონივრულ ვადაში, საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია, უპასუხოს კითხვებს კითხვარში მითითებულ ვადაში. კითხვარს მოსამართლე ამტკიცებს მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე. შესაბამისი საარჩევნო ადმინისტრაცია ამომრჩეველთა ერთიან სიას ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 ივლისისა, უგზავნის შესაბამის სასამართლოს. სასამართლო ვალდებულია, შეატყობინოს მხარეებს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის ადგილისა და დროის შესახებ. მხარეებს უფლება აქვთ, დაესწონ მსაჯულების შერჩევის პროცედურას. მხარეს უფლება აქვს, ერთჯერადად, 24 საათის განმავლობაში გაასაჩივროს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის თავმჯდომარის უკანონო გადაწყვეტილება ან მოქმედება. საჩივარი შეიტანება საქმის განმხილველი სასამართლოს თავმჯდომარესთან, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე, განჩინებით წყვეტს მას შეტანიდან 24 საათის განმავლობაში.

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიაში ანბანური თანამიმდევრობით მიეთითება პირის გვარი, სახელი და მისამართი. სიას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიის ასლები გადაეცემა მხარეებს. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე ეგზავნებათ უწყება, რომელშიც მითითებულია სხდომის დაწყების დრო, ადგილი და გამოცხადების სავალდებულობა. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია, აცილების საფუძველის არსებობის შემთხვევაში ეს აცნობოს სასამართლოს უწყების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში.

მხარე უფლებამოსილია, წარადგინოს შუამდგომლობა მსაჯულობის კანდიდატის აცილების შესახებ. აცილების უფლებას პირველად ახორციელებს ბრალდების მხარე, ხოლო შემდეგ – დაცვის მხარე.

მოსამართლე ამოწმებს ყველა გარემოებას, რომელიც შეიძლება გახდეს მსაჯულობის კანდიდატის აცილების (თვითააცილების) საფუძველი და მხარეებს საშუალებას აძლევს, შეკითხვები დაუსვან მსაჯულობის კანდიდატებს, ასევე წარმოადგინონ დამატებითი მასალები აცილების თაობაზე. მოსამართლე უფლებამოსილია, მოსთხოვოს მხარეებს მისთვის წინასწარ იმ შეკითხვების წარდგენა, რომელთა დასმასაც აპირებენ მსაჯულობის კანდიდატებისთვის.

მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია, სწორი და ამომწურავი პასუხები გასცეს დასმულ შეკითხვებს, წარმოადგინოს სხვა, აუცილებელი ინფორმაცია საკუთარი პიროვნებისა და განსახილველი საქმის მონაწილეებთან თავისი ურთიერთობის თაობაზე, აგრეთვე – ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას საქმის ობიექტურად და მიუკერძოებლად განხილვაში.

მსაჯულობის კანდიდატისთვის დასმული შეკითხვები არ უნდა ხელყოფდეს მის პირად, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებისთვის. მსაჯულობის კანდიდატს შეიძლება მოეთხოვოს აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ მხარის დასაბუთებული მოთხოვნის არსებობისას. თუ მოსალოდნელია, რომ ამ ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მის ინტერესებს, მსაჯულობის კანდიდატი ინფორმაციას აწვდის მხოლოდ უშუალოდ სხდომის თავმჯდომარეს.

დაუსაბუთებელი აცილება არ შეიძლება იმგვარად იქნეს გამოყენებული, რომ მოხდეს მსაჯულობის კანდიდატთა დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, რაიმე გაერთიანების წევრობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.

მსაჯულობის კანდიდატს შეუძლია, მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თვითაცილების შესახებ და მიუთითოს იმ გარემოებაზე, რომელიც მას ხელს შეუშლის ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელებაში. თვითაცილება დასაბუთებული უნდა იყოს. მხარეებს უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება მსაჯულობის კანდიდატის თვითაცილების მიმართ. აცილებისა და თვითაცილების შესახებ შუამდგომლობებს მოსამართლე განიხილავს საჯაროდ და გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. აცილებულმა მსაჯულობის კანდიდატმა უნდა დატოვოს სასამართლო სხდომის დარბაზი. თუ თვითაცილებისა და აცილების შემდეგ მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა სიაში 14-ზე ნაკლებია, მოსამართლე გადადებს სხდომას არა უმეტეს 10 დღით და დადგენილი წესით მოიწვევს დამატებით არა უმეტეს 30 კანდიდატს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის ამ კოდექსით დადგენილ რაოდენობამდე შესავსებად.

თუ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას, მხარეს უფლება აქვს, 12-ჯერ მოითხოვოს აცილება ისე, რომ არ დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა. დანარჩენ შემთხვევებში მხარე უფლებამოსილია, განაცხადოს 6 დაუსაბუთებელი აცილება.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ისტორიული დარბაზი

თუ საქმეში რამდენიმე ბრალდებულია, თითოეულ მათგანს დამატებით 3 კანდიდატის დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლება ეძლევა. იგივე უფლება ეძლევა ბრალდების მხარეს. თუ რომელიმე ბრალდებული სრულად არ გამოიყენებს აცილების განცხადების საკუთარ კვოტას, მისი გამოყენების უფლება ენიჭება იმავე საქმეში სხვა ბრალდებულს. ამ შემთხვევაში ბრალდების მხარე სარგებლობს იმდენივე დაუსაბუთებელი აცილების განცხადების უფლებით, რამდენითაც ისარგებლა ყველა ბრალდებულმა საერთო ჯამში.

აცილების შემდეგ დარჩენილი პირველი თოთხმეტი მსაჯულობის კანდიდატი შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. მათგან პირველ თორმეტ კანდიდატს სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს ნაფიც მსაჯულად, ხოლო დანარჩენი ორი საქმის განხილვაში მონაწილეობას მიიღებს, როგორც სათადარიგო მსაჯული. საქმის სირთულიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მეტი სათადარიგო მსაჯულის დამტკიცების შესახებ. ეს გადაწყვეტილება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. სათადარიგო მსაჯული ესწრება სასამართლო სხდომას და სასამართლოს თათბირს. სათადარიგო მსაჯულს უფლება არა აქვს, გამოხატოს საკუთარი აზრი, გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულებზე ან მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილვის დღეს, რომელიც უნდა იყოს შერჩევის პროცედურის დასრულებიდან არა უგვიანეს მესამე დღისა.

თუ შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა მასმედიით მისი ინტენსიური გაშუქების ან საქმისადმი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გამო, საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ტერიტორიულად სხვა ადგილას მდებარე სასამართლოში.

სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აძლევს განმარტებებს გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. სხდომის თავმჯდომარის განმარტებები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, ამ კოდექსს და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. ეს განმარტებები ნაფიც მსაჯულებს წერილობითი სახითაც გადაეცემა. ისინი ასევე წერილობით, გონივრული ვადის გათვალისწინებით, ადრე უნდა გადაეცეთ მხარეებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, სხდომის თავმჯდომარეს მიმართონ მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შუამდგომლობით. თუ მხარეები ამ უფლებას არ გამოიყენებენ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლამდე, სხდომის თავმჯდომარის განმარტებათა სამართლიანობა და კანონიერება არ შეიძლება გახდეს საკასაციო საჩივრის საფუძველი.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი. განმარტებისას სხდომის თავმჯდომარეს ეკრძალება რაიმე ფორმით თავისი პირადი შეხედულების გამოხატვა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას განეკუთვნება.

სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს ბრალდების შინაარსს და მის სამართლებრივ საფუძველს; მტკიცებულებათა შეფასების ძირითად წესს; უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნებას და იმ გარემოებას, რომ ყოველგვარი ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება; რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას; რომ სხდომის მიმდინარეობისას მათ უფლება აქვთ, აწარმოონ და გამოიყენონ ჩანაწერები; რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი

მითითებით; რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი კარაულის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით; თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე ვერდიქტის გამოტანის წესს; რომ ჯერ ყველა წარდგენილ ბრალდებაზე კენჭი უნდა უყარონ გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამიმდევრობით; რომ მათ ხელი უნდა მოაწერონ თითოეული ბრალდებისათვის წარდგენილი ვერდიქტის ფორმებიდან მხოლოდ ერთს – გამამართლებელი ან გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმას. სხდომის თავმჯდომარე განმარტებას ამთავრებს ნაფიცი მსაჯულებისათვის იმის შესხენებით, რომ მათ ფიცი დადეს.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მოსმენის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარეს წერილობით დაუსვან დამატებითი შეკითხვები. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, მხარის შუამდგომლობით განუმარტოს ნაფიც მსაჯულებს, რომ ბრალდებულმა შესაძლოა, ჩაიდინა შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომლის შემადგენლობის ელემენტებს შეიცავს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაულის ელემენტები.



თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი

თუ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ ნაფიც მსაჯულს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობა, გამოვლინდა მისი აცილების საფუძველი, ნაფიცმა მსაჯულმა დაარღვია ამ კოდექსის მოთხოვნები, სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულს ათავისუფლებს მისი მოვალეობის შესრულებისაგან და მის ნაცვლად ნაფიც მსაჯულად ნიშნავს მსაჯულთა სიაში მომდევნო, სათადარიგო მსაჯულს. თუ ნაფიც მსაჯულთა რიცხვი ნაფიც მსაჯულთა ამ კოდექსით განსაზღვრულ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, სხდომის თავმჯდომარე იწყებს მსაჯულთა ხელახალ შერჩევას და საქმის განხილვა ამ კოდექსით დადგენილი წესით თავიდან იწყება.

სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ნიშნავს უფროს მსაჯულს. უფროსი მსაჯული თავმჯდომარეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სახელით წერილობითი შეკითხვით მიმართავს სხდომის თავმჯდომარეს, აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს, ადგენს შესაბამის დოკუმენტებს, ხელს აწერს ვერდიქტს და სასამართლო სხდომაზე აცხადებს მას. უფროსი მსაჯულის განთავისუფლების შემთხვევაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავისი შემადგენლობიდან წილისყრის საფუძველზე ირჩევს ახალ უფროს მსაჯულს.

უფროსი მსაჯულის დანიშვნის (არჩევის) შემდეგ მსაჯულები ღებენ ფიცს. ფიცის ტექსტს კითხულობს სხდომის თავმჯდომარე: „**ფიცავ, პატიოსნად და მიუკერძოებლად აღვასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, გავითვალისწინო ყველა კანონიერი მტკიცებულება, გადაწყვეტილება მივიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან ადამიანს!**“.

ფიცის ტექსტის წაკითხვის შემდეგ მსაჯულთა სიაში რიგითობის მიხედვით ყოველი მსაჯული ამბობს: „**ვადასტურებ!**“ ასეთივე წესით ღებენ ფიცს სათადარიგო მსაჯულები. ფიცის დადების პროცედურა შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. ნაფიცი მსაჯული ფიცს ფეხზე ამდგარი ღებს.



თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი

ფიცის დადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს მათ უფლებამოვალეობებს.

ნაფიც მსაჯულს უფლება აქვს, თავის წერილობით მიმართვაზე მიიღოს სასამართლოსგან განმარტება გამოსაყენებელი კანონის თაობაზე; წინასწარი ინფორმაცია

საქმის გარემოებებისა და გამოსაკვლევი მტკიცებულებების შესახებ; სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ, მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ; ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირის დროს დამატებითი განმარტება მოსამართლისაგან – კანონის შესახებ.

მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს სხდომის მიმდინარეობისას ჩანაწერების გაკეთების უფლებას. ნაფიც მსაჯულებს სათათბირო ოთახში გასვლამდე ეძლევათ სასამართლო სხდომის ოქმი, გარდა იმ ნაწილებისა, რომლებიც ეხება დაუშვებელ მტკიცებულებებს.

ნაფიც და სათადარიგო მსაჯულებს ეკრძალებათ: სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება; კერძოქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით; განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა; განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ; ნაფიც

მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა; სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა.

ნაფიცი მსაჯული ვალდებულია, დაესწროს განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო სხდომებს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირს.

მსაჯულის (მსაჯულობის კანდიდატის) მიერ მისი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

სხდომის თავმჯდომარე აფრთხილებს ნაფიც მსაჯულებს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გაათავისუფლებს მათ ნაფიც მსაჯულთა მოვალეობის შესრულებისაგან.

სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აწვდის ინფორმაციას განსახილველ საქმესთან არსებითი კავშირის მქონე საკითხებზე საპროცესო შეთანხმების არსებობის თაობაზე. ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან სასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი ან/და გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად), აგრეთვე – ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და გადაწყვეტილებებს იღებს ფაქტების შესახებ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე.



თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი

ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი.

ნაფიცი მსაჯულები ვერდიქტს იღებენ ერთხმად. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებას, გადაწყვეტილება მომდევნო 6 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 10 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 9 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 9 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 7 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 6 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით. თუ განსახილველ საქმეში ბრალდებულს შეიძლება დაენიშნოს უკადო თავისუფლების აღკვეთა, ვერდიქტი ერთხმად უნდა იქნეს მიღებული.

თუ ნაფიც მსაჯულებს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს მათ ვერდიქტის მნიშვნელობას და სთხოვს უფროს ნაფიც მსაჯულს, სხდომის თავმჯდომარეს მოახსენოს, არის თუ არა ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობაზე ან რომელსაც აქვს ინტერესი საქმის მიმართ, რის შესახებაც არ განაცხადა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. აღნიშნული განმარტების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მიმართავს ნაფიც მსაჯულებს, დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში და გამოიტანონ ვერდიქტი კანონის შესაბამისად.

თუ სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები მომდევნო 3 საათის განმავლობაშიც ვერ მიიღებენ ვერდიქტს ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე დაითხოვს მათ სრულ შემადგენლობას და დანიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება ამ კოდექსით დადგენილი წესით, ბრალდებული გამართლებულად ითვლება.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას. უფროსი მსაჯული ავსებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტს, რომელშიც შეაქვს კენჭისყრის საერთო შედეგები და რომელსაც ყველა ნაფიცი მსაჯული ადასტურებს ხელმოწერით.



ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი

ვერდიქტის ფორმა – სხდომის თავმჯდომარემ ყოველ ბრალდებულზე უნდა მოამზადოს ვერდიქტის 2 ფორმა, რომლებიც ნაფიც მსაჯულებს წარედგინება: ერთი – გამამართლებელი ვერდიქტის, მეორე – გამამტყუნებელი ვერდიქტის.

ვერდიქტის ფორმა შემდეგნაირად უნდა იკითხებოდეს: ა) გამამართლებელი ვერდიქტის ფორმა: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საქმეზე (საქმის ნომერი და დასახელება) ბრალდებული (სახელი და გვარი) არ ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) (ნომერი) გათვალისწინებული დანაშაულის (დასახელება) ჩადენაში; ბ) გამამტყუნებელი ვერდიქტის ფორმა: ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საქმეზე (საქმის ნომერი და დასახელება) ბრალდებული (სახელი და გვარი) ცნო დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით (ნაწილით, ქვეპუნქტით) (ნომერი) გათვალისწინებული დანაშაულის (დასახელება) ჩადენაში.

როდესაც უფროსი მსაჯული ვერდიქტს ხელს მოაწერს, ნაფიცი მსა-

ჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და უფროსი მსაჯული სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს ვერდიქტს.

სხდომის თავმჯდომარემ უნდა წაიკითხოს ვერდიქტი და უნდა დარწმუნდეს შემდეგში: ა) ვერდიქტი თითოეულ ბრალდებაზე სწორი კენჭისყრის შედეგად არის მიღებული; ბ) არ არის აშკარა წინააღმდეგობა ვერდიქტის ფორმებს შორის; გ) ვერდიქტი გამოტანილია ყველა წარდგენილ ბრალდებაზე.

უფროსი მსაჯული აცხადებს ვერდიქტს სასამართლო სხდომის დარბაზში. თუ სხდომის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ვერდიქტის ფორმა არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, იგი ვერდიქტს უბრუნებს უფროს მსაჯულს და მოითხოვს ნაფიც მსაჯულთა დაბრუნებას სათათბირო ოთახში შეცდომების გასასწორებლად.

ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისათვის მადლობას უხდის ნაფიც მსაჯულებს და დაითხოვს მათ.

თუ ვერდიქტი მთლიანად გამამართლებელია, დაპატიმრებული ბრალდებული დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია, გამამართლებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი.

გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოცხადებისთანავე სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს. სასჯელის დანიშვნის სხდომა უნდა გაიმართოს ვერდიქტის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

თუ საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა, სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მხარეები საქმეში გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობის, ასევე სხვა წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე,

შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგენენ მოსაზრებებს სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით. თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს, სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით,



ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი

სასჯელის დანიშვნის სხდომაზე შესაძლოა, დაშვებულ იქნეს საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულებაც.

თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდა-

ციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე მეტი.

თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვრის ორ მესამედზე ნაკლები.

თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შესწევს უნარი, მიიღოს სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, სასჯელს ნიშნავს სხდომის თავმჯდომარე.

მხარეს უფლება აქვს, გამოხატოს პოზიცია მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასჯელთან დაკავშირებით წარდგენილ მოსაზრებაზე.



ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომის დარბაზი

სხდომის თავმჯდომარე ბრალდებულს სასჯელს უნიშნავს ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით.

სასჯელის დანიშვნის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარეს გამოაქვს განაჩენი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა ეყრდნობოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს.

სხდომის თავმჯდომარემ ეჭვი არ უნდა შეიტანოს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტში და არც – სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციაში.


ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის დადგენისას სხდომის თავმჯდომარე არ ასაბუთებს ვერდიქტს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს

განაჩენი, ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაციის გათვალისწინებით, მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ სასჯელის ნაწილში. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მხარეს შეუძლია სააპელაციო სასამართლოში ერთჯერადად საკასაციო წესით გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო; სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი; სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ, განმარტებების მიცემისას, არსებითი შეცდომა დაუშვა; სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას მთლიანად ან ნაწილობრივ არ დაეყრდნო ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს; სხდომის თავმჯდომარე განაჩენის გამოტანისას დაეყრდნო ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს; სასჯელი უკანონოა ან/და აშკარად დაუსაბუთებელია; სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია.

თუ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდება, საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის სასჯელის ნაწილში გაუქმების შემთხვევაში საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს.



„ბორცხა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელა” -
 არქიტექტურული კომპოზიცია უზენაესი სასამართლოს
 IV სართულის ფოიეში

მედიის როლი

როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს მედიამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე? რომელი უფრო მაღალ ღირებულებას წარმოადგენს – სიტყვის თავისუფლება თუ სამართლიანი სასამართლო? ეს საკითხი სერიოზულ დავას იწვევს საერთო სამართლის ქვეყნებში.

მედიის საშუალებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირება საქმის ირგვლივ (რაც ზეგავლენას ახდენს მსაჯულებზე, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებას). ასევე, შეიძლება მსაჯულებს საქმის ირგვლივ მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც მათ განაწყობს ბრალდების, ან დაცვის მხარის სასარგებლოდ. შესაძლებელია, ასევე მიეწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც საქმის განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებად იქნებოდა ცნობილი. ასეთი ინფორმაცია შესაძლებელია იყოს ბრალდებულის ნა-სამართლობა, წინასწარი გამოძიებისას ბრალის აღიარება, დაუშვებლად ცნობილი საგამოძიებო მოქმედებების შედეგები და ა.შ.



12 ნაფიცი მსაჯული

იმისათვის, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა დაცული იყოს მედიის ზეგავლენისაგან, ზემოქმედება უნდა მოხდეს ან **სასამართლო პროცესზე**, ან - თავად **მედიაზე**.

სასამართლო პროცესზე ზემოქმედების მექანიზმები განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ, როდესაც იზილავდა განმაურებულ საქმეს – **შეპარდი მაქსველის წინააღმდეგ**. 1954 წელს დააკავეს ცნობილი ექიმი სემ შეპარდი თავისი ფეხმძიმე ცოლის – მერილინის მკვლელობის გამო. შეპარდი ამტკიცებდა, რომ მკვლელობა მისი ჩადენილი არ იყო. მან განაცხადა, რომ შუალამისას მათ სახლში თავს დაესხა უცნობი მამაკაცი, რომელმაც მოკლა მისი მეუღლე, ხოლო მას ორჯერ ჩაარტყა თავში, რის შემდეგაც იგი უგონო მდგომარეობაში დაეცა.



სემ შეპარდი ოჯახთან ერთად



სემ შეპარდი პოლიციის თანხლებით

საქმის მიმდინარეობას ფართოდ აშუქებდა პრესა და ტელევიზია. კლივლენდის გაზეთებში ყოველდღე იწერებოდა ამ შემთხვევის შესახებ. მედიის განწყობა შეპარდის მიმართ აშკარად ნეგატიური იყო, რაც თავისთავად აისახა კიდევ მსაჯულთა ვერდიქტზე. სხდომის თავმჯდომარემ ვერ შეძლო დაეცვა მსაჯულები ასეთი ზეგავლენისაგან. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო და სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უზენაესი სასამართლო დაეთანხმა ბრალდებულის მტკიცებას პროცესის სამართლიანობის დარღვევის შესახებ და დაადგინა მისი ხელმეორედ გასა-

მართლება, რის შემდეგაც მას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა გარკვეულ მექანიზმებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მედიის ზეგავლენისაგან სასამართლო პროცესის დასაცავად.

ასეთ მექანიზმებად სასამართლომ ჩათვალა: 1) საქმის განხილვის გადატანა სხვა ადგილას; 2) საქმის განხილვის შეჩერება; 3) ბრალდებისა და დაცვის მხარეებისათვის საქმის დეტალების გახმაურების აკრძალვა – ე.წ. *No Comment*-ის წესი; 4) პოტენციური მსაჯულის წინასწარი დაკითხვა მოსამართლის ან მხარის მიერ იმის გამოსავლენად, არის თუ არა ის კვალიფიციური ან მისაღები ნაფიცი მსაჯულის ფუნქციების შესასრულებლად – ე.წ. *voire dire*; 5) მოსამართლის მითითებები ნაფიცი მსაჯულებისადმი; 6) ნაფიც მსაჯულთა ჩაკეტვა, რაც გულისხმობს პროცესის მსვლელობის განმავლობაში ნაფიც მსაჯულთა იზოლაციას საზოგადოებისაგან. სასამართლოს შენობის გარეთ ეს ხდება სასტუმროში, სადაც მათ ამარაგებენ საკვებით.

აღნიშნულ პროცედურებს იყენებენ საერთო სამართლის სხვა ქვეყნებიც, თუმცა ყველგან – არა. მაგალითისათვის საქმის განხილვის სხვაგან გადატანა ეფექტურია იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდ ტერიტორიებს ფლობენ. მედიის ზემოქმედების გასანეიტრალებლად ასევე გამოიყენება მოსამართლისათვის საქმის გადაცემა ერთპიროვნული განხილვისათვის. მაგალითისათვის ასეთი მექანიზმი გამოიყენება კანადაში, თუ ბრალდებისა და დაცვის მხარეები შეთანხმდებიან ამაზე. თუმცა, აღნიშნული მექანიზმი ვერ იმოქმედებს ისეთ სახელმწიფოში, სადაც კანონი ამა თუ იმ ქმედებაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სავალდებულო განსჯადობას ითვალისწინებს – ასეთია ავსტრალია და ახალი ზელანდია.

მედიაზე ზემოქმედების მექანიზმებიც ასევე განისაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია 1976 წელს განხილული საქმე – **ნებრასკას პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ**. საქმე ეხებოდა ერვინ ჩარლზ სიმატსის მიერ ჰენრი კელისა და მისი ოჯახის ექვსი წევრის, მათ

შორის – ბავშვების, მკვლელობას. იმისათვის, რომ სასამართლოზე არ გავრცელებულიყო პრესის მავნე ზეგავლენა, მოსამართლემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალა ბრალდებულის მიერ პოლიციისათვის მიცემული ან სხვაგვარად გაკეთებული განცხადებების გამოქვეყნება, ასევე – იმ მტკიცებულებათა გაშუქება, რომლებიც წარდგენილი იყო საქმის წინასწარი მოსმენისას. აღნიშნული ბრძანება გააუქმა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ და მიუთითა, რომ „საქმის წინასწარი, თუნდაც ნეგატიური გაშუქება აუცილებლად არ იწვევს პროცესის უსამართლობას.“ სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა უნდა გამოიყენებოდეს ყველაზე უკიდურეს საშუალებად – მას შემდეგ, რაც ამოიწურება სხვა, ტრადიციული მექანიზმები. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მედიას შეეძლო თავისუფლად გაეშუქებინა ყველაფერი, რაც მოხდა სასამართლოს ღია სხდომაზე.

ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, ინგლისში 1981 წელს გამოცემული კანონის თანახმად, რომელიც სასამართლოს უპატივცემულობას ეხება, მედიას შესაძლოა, აეკრძალოს და მის წინააღმდეგ აღიძრას სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ იგი გამოაქვეყნებს საქმის განხილვაზე ზეგავლენის მომხდენ მასალებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუამდგომლობის შემტანმა მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ მასალების გამოქვეყნებით შეიქმნა უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის არსებითი საფრთხე.

შოტლანდიაში ამ კანონის მოქმედება კიდევ უფრო მკაცრია, ვინაიდან სასამართლოები არსებით საფრთხეს მიიჩნევენ, როგორც მინიმალურზე მეტ საფრთხეს. ამის გამო პრესა მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს ნაფიც მსაჯულთა პროცესის გაშუქებისას. პროცესის სამართლიანობიდან გამომდინარე, მედიაზე აკრძალვების დაწესების მექანიზმებს ასევე იყენებენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და ირლანდია.

მსაჯულები სასამართლოს გარეშე

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, სასამართლო სხდომებზე საქმეთა განხილვაში მონაწილეობისა და ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტის გარდა, მსაჯულები ზოგჯერ მონაწილეობენ არასამართლებრივ, ან კვაზი-სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში. მსაჯულთა ასეთ შემადგენლობას „ლურჯი ბაფთის ორდენის მსაჯულებს“ (Blue Ribbon Juries) უწოდებენ, რომლებიც დროებითი ორგანოს სტატუსით თვალყურს ადევნებენ მთავრობის აღმასრულებელი შტოს მიერ სამოქალაქო (საზოგადოებრივი) საკითხების გადაწყვეტას. ე.წ. „ლურჯი ბაფთის ორდენის მსაჯულებად“ ირჩევენ გამოჩენილ, უაღრესად განათლებულ და პატივსაცემ მოქალაქეებს, როდესაც გამოსაკვლევეია კონკრეტული პრობლემა, როგორიცაა სამოქალაქო კორუფცია. მსაჯულთა ასეთი შემადგენლობა არ გამოიყენება რეალური სასამართლო განხილვებისას. მათი მთავარი დანიშნულებაა, კომპლექსური (რთული) ან კომერციული საკითხების ინტერპრეტირება, რაც ჩვეულებრივი მსაჯულებისგან შემდგარი ჟიურისათვის პრობლემაურია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ორდენის მსაჯულების საქმიანობა გათვალისწინებულია სპეციალური სტატუტით, რომლის მოქმედების ვადაც იცვლება იურისდიქციის მიხედვით.

„ლურჯი ბაფთის ორდენის მსაჯულები“ ასევე მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებულების გამოსავლენად, ასეთებია: ღვინის კონკურსი, ხელოვანთა კონკურსი ან ნიჭიერ ადამიანთა გამოსავლენი კონკურსები.



მსაჯულთა მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსში (ფოტოკოლაჟი)

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ნეილ ვიდმარი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), თბ., 2005;
2. იური გაბისონია, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., „მერიდიანი“, 2008;
3. ლარს იორჰენდი, კახა წიქარიშვილი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), თბ., „ლეთა“, 2007;
4. ესქილე, ორესტეა, თბ., „ხელოვნება“, 1974.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32,

ტელ.: (995 32) 985172

www.supremecourt.ge

THE SUPREME COURT OF GEORGIA

32, Br. Zubalashvili str., Tbilisi 0110, Tel.: (995 32) 985172

www.supremecourt.ge

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში

თბილისი, ერისთავის ქ. №9

ტელ.: +995 32 251126; ფაქსი: +995 32 250272

www.undp.org.ge

UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME IN GEORGIA (UNDP)

9 Eristavi str, Tbilisi, Georgia

Tel.: +995 32 251126; Fax: +995 32 250272

www.undp.org.ge